ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 12 ივლისი, 2021 №125 (8654) ფასი: 60 თეთრი

„ლექსო გადაბრუნებული იწვა, ძალლი ეწვინა გვერდში, გალურჯებული იყო“

ტვ პირველის ოპერატორი ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა

გვ.5

„პრემიერი ღარიბაშვილი და შს მინისტრი გოგელაური უნდა გადადგნენ!“

დავით ზურაბიშვილი: „ღარიბაშვილის მიმართ უკმაყოფილება ამერიკის ელჩმა ღიად გამოხატა, რაც ისტორიაში პირველად მოხდა“

გვ.2

„ამირან გამყრელიძეს ხსნიან“

გვ.3

„ნერონმა რომ თავის ცხენი შეიყვანა სენატში და სენატორად დანიშნა, დაახლოებით მაგ დონის ჯანდაცვის მინისტრი გვყავს ჩვენ!“

ვატო სურგულაძე: „კატასტროფას ველოდებით შემოდგომით“

გვ.2

„შესაძლებელია, ადგილი ჰქონოდა ინფექციური პროცესის აღმავალ გავრცელებას“

ალექსანდრე გეჯაძის კომენტარი

გვ.4

გედევან ფოფხაძე: „ახლა უნდათ ეს ყველაფერი საპატრიარქოს დააბრალონ. საპატრიარქოს თეორიულადაც არ შეუძლია ასე მართოს საპროტესტო, სტიქიური ჯგუფები“

„ქუჩაში მოძალადე ხელისუფლება გვყავს“



გვ.4

გიგლა ბარამიძე: „5 ივლისს პროვოკაციები მოხდა“

ISSN 1987-9385

5 გორის საკრებულოს წევრი კახა ბურჯანაძე მანქანის დაწვისთვის დააკავეს

5 „პოლიციელი ავთანდილ გვარამია ყოფილ ცოლს მოკვლით ემუქრება“

3 საშემოსავლო გადასახადი შეიძლება განახევრდეს

6 რომის პაპმა საკვირაო ლოცვა საავადმყოფოში აღავლინა

„პრემიერი ღარიბაშვილი და შს მინისტრი გომელაური უნდა გადადგნენ!“

დავით ზურაბიშვილი: „ღარიბაშვილის მიმართ უკმაყოფილება ამერიკის ელჩმა ღიად გამოხატა, რაც ისტორიაში პირველად მოხდა“

იაგო ნაცვლიშვილი

5-6 ივლისის უმძიმეს დღეს და ჟურნალისტების ცემას ტრაგედია მოჰყვა, გარდაიცვალა ნაცემი ოპერატორი ლექსო ლაშქარავა, რომელიც „ტვ პირველში“ მუშაობდა. ამ ფაქტმა შოკში ჩააგდო სრულიად მედია და საზოგადოება. მათ გუშინ რუსთაველზე სოლიდარობის აქციაც გამართეს. მოსახლეობამ პრემიერის და შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომაც მოითხოვა.

პრემიერის შეცვლაზე საუბარი ჯერ კიდევ ამ ტრაგიკულ შემთხვევამდე დაიწყო და დასახელდა რამდენიმე კანდიდატიც. მათ შორის კახა კუჭავა და დავით ნარმანია. შეელევა თუ არა ბიძინა ივანიშვილი წინასაარჩევნოდ ირაკლი ღარიბაშვილს და რამდენად რეალური კანდიდატურებია დასახელებული? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ანალიტიკოსი პოლიტიკის საკითხებში დავით ზურაბიშვილი საუბრობს:



„პრემიერად ნარმანია შემთხვევით არ დასახელებულა, ივანიშვილისთვის იდეალური კანდიდატია“

– მძიმე პროცესები განვითარდა საქართველოში და, სამწუხაროდ, ვერც ტრაგედია ავიცილეთ თავიდან – „ტვ პირველის“ ოპერატორი გარდაიცვალა. ეს პროცესები გარკვეულწილად პრემიერის განცხადებებმაც გამოიწვია. ამის ფონზე დაიწყო საუბარი, რომ შესაძლოა ღარიბაშვილი შეცვალონ. თქვენ ხომ არ გაქვთ რაიმე ინფორმაცია – შეელევიან თუ არა მას წინასაარჩევნოდ?

– არსებულ ვითარებაში მინიმუმ პრემიერი ღარიბაშვილი და შს მინისტრი გომელაური უნდა გადადგნენ და სხვა მოძალადეებთან ერთად აქციის უშუალო ორგანიზატორებზეც აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ეს მინიმუმ, საზოგადოდ კი ამ ხელისუფლების მოშორება და პოლიტიკურ მოუსავლეთში გასტუმრება რომ უკვე ელემენტარული ჰიგიენის საკითხი გახდა, პირადად ჩემთვის ცხადზე უცხადესია.

რაც შეეხება ინფორმაციას, მე არავითარი ინფორმაცია არ მაქვს, მეც მასმედიიდან ვიგებ. რეალურად დღეს ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილია, ვამბობთ ღარიბაშვილს და ვგულისხმობთ ივანიშვილს. მაგრამ ივანიშვილის ინტერესები შეიძლება წარმოადგინოს არა ისეთმა ოდიოზურმა პიროვნებამ, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყანასაც და პირადად ივანიშვილსაც. 5 ივლისს რაც მოხდა, დიდწილად მისი პასუხისმგებლობაც იყო, რადგან წამქეზებლის როლში გამოვიდა, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ივანიშვილი მის გამოცვლას განიხილავდეს. მით უმეტეს, რომ ღიად გამოთქვამს დასავლეთი უკმაყოფილებას ღარიბაშვილის პერსონის მიმართ.

– ახსენეთ თქვენც, რომ ვახსენებთ ღარიბაშვილს და ვგულისხმობთ ივანიშვილს. აქედან გამომდინარე არ იქნებოდა ღარიბაშვილის განცხადებები ივანიშვილთან შეთანხმებული და არ იქნებოდა ეს ივანიშვილის დავალება?

– დავალება რომ ყოფილიყო ასეთ, რომ დაერბიათ და ჟურნალისტებზე თავდასხმა განხორციელებულიყო, ეს მერე არ შეიცვლებოდა. ეს ხომ არ შეიძლება იყოს ერთდღიანი. ცხადია, რომ ივანიშვილი ყოველთვის ცდილობს საპატრიარქოსა და ეკლესიაში მიკედლებული ბნელი და პრორუსული ძალების გამოყენებას ოპოზიციის წინააღმდეგ. ასეთ ემოციებზე თამაშს ის არც ადრე მორიდებია. აქ, უბრალოდ, ლაპარაკია იმაზე, როგორ ასრულებს. შემსრულებელი მას უნდა ისეთი, რომ ამ მანიპულაციებით ქულები დაიწეროს და არა ის, რომ ამ მანიპულაციებით პრობლემები შეუქმნას საკუთარ თავს. ამ შემთხვევაში ღარიბაშვილი ის ადამიანია, რომელიც ვერ ასრულებს ამ დავალებას ისე, როგორც ბატონი ბიძინა თვლის საჭიროდ. ანუ, პრობლემებს ქმნის მისი შესრულების პროცესში.

– ასე იყო პირველი პრემიერობის დროსაც, როდესაც მან შეცვალა?

– წინა პერიოდის შეცვლა მე კარგად მახსოვს, მაშინ მეც ვიყავი კოალიცია „ქართულ ოცნებაში“. მაშინ ეს იყო „რესპუბლიკური პარტიის“ დაჟინებული თხოვნა. ვინაიდან ის ქმნიდა ძალიან სერიოზულ პრობლემებს თავისი სანათესაოთი, თავისი წრით. მისი პრობლემაა, რომ ის მენტალურად ძალიან შორს არ არის იმ ხალხისგან, ვინც იქ დასდევდა ჟურნალისტებს.

– ბიძინასაც უნდოდა მისი შეცვლა მაშინ, თუ პარტნიორებს ვეღარ გაგიწიათ წინააღმდეგობა?

– კმაყოფილი რომ ყოფილიყო, არა მგონია, რომ ასე მარტივად დათანხმებოდა ჩვენ თხოვნას. მით უმეტეს, რომ კარგა ხნის მერე დააბრუნა. „რესპუბლიკური პარტია“ 2016 წლიდან აღარ არის ხელისუფლებაში, მაგრამ ღარიბაშვილის დაბრუნება 2 წლის წინ მოხდა. ბოლოს, როდესაც ღარიბაშვილი დასახელდა პრემიერად, გასაგები იყო, რომ ასეთი ხაზი იქნებოდა.

– როდესაც დაბრუნდა ღარიბაშვილი მას თითქოს სახე შეცვლილს ვხედავდით და ბუტაფორია იყო?

– არა, ხასიათს ხომ ვერ გამოიცვლიდა ადამიანი?!

– თითქოს კობახიძე ასრულებდა შავ სამუშაოს და ის აკეთებდა ნეგატიურ განცხადებებს.

– მის გარშემო ყოველთვის ასეთი ხალხია. სწორედ ღარიბაშვილის დროს იყო ისეთი კამპანიები, როგორიც არის გაუპატიურებების საჯაროდ ჩვენებები, სანდრო ბრეგაძის დანიშვნა მინისტრის მოადგილედ და ა. შ. ეს მისი წრის სულისკვეთებების გამოხატულებაა.

– გახარიას დროს გარკვეული დაპირისპირება არსებობდა საპატრიარქოსთან და ახლა მასთან „დალაგება“ ღარიბაშვილის ხელწერაა?

– გახარია, როგორც ჩანს, არ იყო ისეთი მორჩილი საპატრიარქოს მიმართ, მაგრამ ღარიბაშვილის შემთხვევაში სხვაგვარად არის – ივანიშვილის გარდა, მისი უფროსი პატრიარქიც არის. ჩაითვალა, რომ ქართული გაგებით კონსერვატიული ტიპი უნდა ყოფილიყო. ქართული გაგებით კონსერვატორი არის საბჭოთა კაცი.

– რატომ დააბრუნა ეს ვითარება, ეს ღარიბაშვილის ხასიათშია თუ საარჩევნოდ სჭირდებოდა?

– ივანიშვილს სჭირდებოდა. ის ადამიანებს არ განიხილავს სხვანაირად, ის განიხილავს, როგორც რესურსს. ჩათვალა, რომ ღარიბაშვილის რეტროგრადიული მიდრეკილებები გამოადგებოდა საარჩევნოდ.

– 5-6 ივლისის მოვლენებით რამდენიმე კურდღელი ხომ არ მოკლა ივანიშვილმა ერთი გასროლით? მაგალითად, რიონის ხეობის მცველების აქციის მიმართ იყო საკმაო სოლიდარობა, ისინი მიიყვანეს აქციაზე და ამით ფაქტობრივად გათიშეს.

– რიონის ხეობის მცველებმა თავად გამოთქვეს თავიანთი შეხედულებები, ივანიშვილმა ხომ არ გამოათქმევინა. ის შეხედულებები კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა ლიბერალური და დემოკრატიული საზოგადოებისთვის და ეს გარკვეულწილად კარგი იყო ილუზიებისგან გათავისუფლების თვალსაზრისით.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ნიკა გვარამია: „ჩვენ უნდა ჩავასვენოთ ღარიბაშვილის მზე!“

– ჩვენ უნდა ჩავასვენოთ ღარიბაშვილის მზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ამობრწყინდეს ლექსოს მზე – ლექსოს ხსოვნისთვის არ დავიშალოთ, არ დავიშალოთ, ვიდრე ხელისუფლება არ გადადგება.

ამის შესახებ „მთავარი არხის“ დირექტორმა ნიკა გვარამიამ გუშინ, 11 ივლისს, პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე თქმით, მედიის გარდა ამ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს.

– არავითარი არჩევანი გადადგომის გარდა მთელი ხელისუფლების, მთელი მთავრობის და მისი ხელმძღვანელის, სამარცხვინო კაციჭამია ღარიბაშვილის და ასევე, მთავრობის არაწევრის, სუს-ის ხელმძღვანელის ღილუაშვილის. არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა ამ ქვეყანას არ გააჩნია.

დღეს ვიცავთ არა საკუთარ თავს, არამედ ვიცავთ ტელემაყურებელს და ყველას, იმიტომ, რომ ყველას კართან დაიჩოქებს უსამართლობის და ძალადობის აქლემი. მედიის გარდა ამ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს.

ჩვენ უნდა ჩავასვენოთ ღარიბაშვილის მზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ამობრწყინდეს ლექსოს მზე – ლექსოს ხსოვნისთვის არ დავიშალოთ, არ დავიშალოთ ვიდრე ხელისუფლება არ გადადგება, – განაცხადა გვარამიამ.

„შესაძლებელია, ადგილი ჰქონოდა ინფექციური პროცესის აღმავალ გავრცელებას“

ალექსანდრე გეჯაძის კომენტარი

– ლექსო ლაშქარავას თავის ტვინში არანაირი მასიური ტლანქი სისხლჩაქცევა, რასაც შეეძლო გამოეწვია სიკვდილი, ვერ იქნა ნანახი.

ამის შესახებ დამოუკიდებელმა ექსპერტმა, ალექსანდრე გეჯაძემ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან გამოსვლის შემდეგ განაცხადა.

– მიცვალებული გამოკვლეულ იქნა ერთობლივად, სამხარაულის საექსპერტო სტრუქტურის ექსპერტთან ერთად ჩემი უშუალო მონაწილეობითა და ჩართულობით, კრიმინალისტებთან ერთად, რომლებმაც შესაბამისი მასალა აიღეს. ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმულია ძირითადი სტანდარტული და სავსებით მისაღები შეკითხვები, რაც შემდეგში მდგომარეობს: რა არის უშუალოდ აწ გარდაცვლილის სიკვდილის მიზეზი, რა დაზიანებები ჰქონდა მას, რა არის ამ დაზიანებების ხასიათი, არის თუ არა მიზეზშედეგობრივი კავშირი დაზიანებებსა და დამდგარ შედეგს შორის. ასევე, დგას საკითხი, მიღებული ჰქონდა თუ არა ნარკოტიკული ნივთიერება, სედატიური პრეპარატი, საძილე ნივთიერება, ან სხვა რაიმე ტოქსიკური ნივთიერება, ან რაიმე ნივთიერების ზედოზირებას ხომ არ ჰქონდა ადგილი, – განაცხადა გეჯაძემ.

მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, რომ ადგილი ჰქონოდა ინფექციური პროცესის გავრცელებას.

– რაც შეეხება თავის ტვინის ნივთიერებას, თავის ტვინში არანაირი მასიური, ტლანქი სისხლჩაქცევა, რასაც შეეძლო გამოეწვია სიკვდილი, ვერ იქნა ნანახი. იყო გარკვეული საეჭვო უბნები თავის ტვინის ნივთიერებაში. არ არის გამორიცხული, რომ ადგილი ჰქონოდა ინფექციური პროცესის აღმავალ გავრცელებას. კატეგორიულად ჯერ ვერ ვამბობ, რადგან მას 8 რიცხვში კომპიუტერული ტომოგრაფიით კვლავ აღენიშნებოდა სისხლი, ჰაერი, სადაც ჰქონდა მოტეხილობა. ეს მიუთითებს მასზედ, რომ გაწოვა დროის ამ მცირე მონაკვეთში, რაც საავადმყოფოში იწვა, ვერ მოხდებოდა.

აღებულ იქნა კანზე არსებული ორი უბანი, რომელიც მიუთითებდა წინასწარ, არაკატეგორიულ ფორმატში გარკვეულ ინექციის კვალზე. თუმცა, საბოლოოდ, ყველა დანარჩენი მიმართულებით საბოლოო დასკვნების გამოტანა, თუ უშუალოდ რა გახდა გარდაცვალების მიზეზი, ამ ეტაპზე ჩვენ ვერ ვისაუბრებთ, რადგან დაახლოებით თვე-თვენახევარში არსებული დროის სტანდარტების მხედველობაში მიღებით უნდა ჩატარდეს საკმაოდ ბევრი კვლევა. რა კვლევები უნდა ჩატარდეს, უკვე მოგახსენეთ, – განაცხადა ექსპერტმა.

ვატო წერეთელი: „ივანიშვილს ხვალ დილამდე აქვს დრო, გადააყენოს ირაკლი ღარიბაშვილი და მთავრობა“

– ბიძინა ივანიშვილს ხვალ დილამდე აქვს დრო, გადააყენოს ირაკლი ღარიბაშვილი და მიჰყვეს მისი მთავრობა.

ამის შესახებ „ტვ პირველის“ დირექტორმა ვატო წერეთელმა პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე თქმით, ხელისუფლების სახე დათხრილი თვალები და ნაძალადევი ერია.

– ეს არის ამ ხელისუფლების სახე, დათხრილი თვალები, ნაძალადევი ჟურნალისტები და თვითონ ერი. ბიძინა ივანიშვილს ხვალ დილამდე აქვს დრო, გადააყენოს ირაკლი ღარიბაშვილი და მიჰყვეს მისი მთავრობა, – აღნიშნა წერეთელმა.

ირაკლი ზარქუა: „ამაში ყველა მხარე ვართ დამნაშავე — ერიც და ბერიც“

„ქართული ოცნების“ დეპუტატი ირაკლი ზარქუა 5 ივლისს ძალადობრივი ჯგუფების მიერ სასტიკად ნაცემი ოპერატორის, ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებას ეხმაურება და ამბობს, რომ „ყველა მხარე დამნაშავეა“.

„უბედურება იყო, რაც ამ დღეებში თბილისში ხდებოდა!.. და ამაში ყველა მხარე ვართ დამნაშავე – ერიც და ბერიც! დღეს კი, კიდევ უფრო უარესი ტრაგედიით დასრულდა – ახალგაზრდა ჟურნალისტის გარდაცვალებით. ვუსამძიმრებ ლაშქარავების ოჯახს, მათ ახლობლებს და ტვ პირველს! ასეთი ტრაგედიები არ უნდა ხდებოდეს ჩვენს ქვეყანაში! რამდენადაც ვიცი, ოჯახის ინიციატივით დამოუკიდებელი ექსპერტიც ჩაერთო და შესაბამისი დასკვნებიც დაიდება კიდეც და სათანადო რეაგირებაც მოჰყვება სახელმწიფოს მხრიდან, თუმცა მის სიცოცხლეს ეს მაინც ვერ დააბრუნებს. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ ოჯახს და ახლობლებს!“ – წერს ზარქუა ფეისბუქზე.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ამირან გამყრელიძეს ხსნიან“

ვატო სურგულაძე: „კატასტროფას ველოდებით შემოდგომით“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.

– ბატონო ვატო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პანდემიურ სიტუაციას. გვესმის შეფასებები, რომ ახლოვდება არჩევნები და ხელისუფლებამ მაქსიმალურად მიუშვა კონტროლი, არ უნდა, რომ გაანაწყენოს ამომრჩეველი. დღეში 1200-დან 1400-მდე მერყეობს ინფიცირების რიცხვი, ამდენი გარდაცვლილი და ამ ფონზე არანაირი რეგულაციები. ეს ნორმალურია?

– სიტუაცია ძალიან რთულია. აბსოლუტურად აღარაფერს აკონტროლებენ, მიუშვეს ყველაფერი. გვესმის მხოლოდ პოპულისტური განცხადებები, მართვა ისედაც არ შეეძლოთ. ეს ინდური შტამი უფრო მომაკვდინებელი კი არ არის, მაგრამ უფრო მარტივად გადადის. ანუ თუ ძველ შტამებს ე.წ. რეპროდუქციის რიცხვი ჰქონდა 3,2 ახლა შვიდამდეა გაზრდილი. ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ ერთ ადამიანს, თუ სხვა ადამიანები შესაბამისად არ იქნებიან დაცული, მაშინ ერთი დაავადებული შვიდს აავადებს. ამიტომ აუცილებელია წესების და რეგულაციების დაცვა. რეგულაციებს არავინ იცავს და ამას არც არავინ აკონტროლებს. აქედან გამომდინარე გვექნება ძალიან ბევრი პრობლემა. ხომ ვხედავთ, ათასზე მეტი შემთხვევაა ყოველდღე. ჩვენ უკვე ლიდერები ვართ მილიონ მოსახლეზე. რეგიონში ჩვენ გვაქვს ყველაზე ცუდი მდგომარეობა, აზერბაიჯანზეც, სომხეთზეც. კი, ევროპულ ქვეყნებში ბევრი მოკვდა, მაგრამ ახლა აღარ უკვდებათ ხალხი. დღეს ჩვენ ინდოელებზე ცუდი სიტუაცია გვაქვს. არ ხდება ეს კონტროლი და გვექნება უარესი აფეთქებები. ვაქცინაციაზე აღარაფერს ვიძახი, ჩააგდეს სრულად ეს პროცესი.

– შემოვიდა ვაქცინა, მაგრამ ძალიან დაბალია ვაქცინირებულების რიცხვი. რატომ?

– ძალიან დაბალი ტემპია. ჯერ ერთი, არაფერი არ გაკეთებულა იმისათვის, რომ მაღალი ტემპი ყოფილიყო, ხალხში ანტივაქსერული განწყობა ძალიან მაღალია და მეორე, ყველაზე ცუდი ის არის, რომ ყველა ელოდება ამ ამერიკულ ფაიზერს და ჩინური ვაქცინით აცრა არავის არ უნდა. აი ეს არის კიდევ ერთი დიდი პრობლემა. არაფერი არ კეთდება, ექიმები არ იცრებიან, არავითარ სამუშაოს არ ატარებენ სახელმწიფო სტრუქტურები მოსახლეობასთან. მაპატიეთ, მაგრამ შტერული და იაფფასიანი რეკლამები რომ მიდის, ეს არავითარ შედეგს არ გვაძლევს. უამრავი პრობლემაა, ხან ვაქცინა დაიკარგა, ხან პორტალმა გაჭედა. ეს ამდენი ტყუილი, ხაკერული თავდასხმა იყოო, აღარ შეიძლება ამდენი ტყუილი. გასაგებია, რომ ადამიანებსაც გული აქვთ აცრუებული. მიდიხარ ასაცრელად და იქაც შესაბამისი სერვისი ვერ გხვდება.

– წყვეტა გვქონდა სერიოზული, არ იყო ვაქცინა. ამან დააზარალა ვაქცინაციის პროცესი?

– სერიოზულად დააზარალა. 25 ათასი უნდა გავაკეთოთ დღეშიო. 12 ივლისია, სად არის ეს 25 ათასი?! 3-5 ათას ვერ ცრიან დღეში. იმიტომ, რომ არ მუშაობს სახელმწიფო და ნდობა სახელმწიფოს მიმართ, მით უმეტეს, ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ არის ძალიან დაბალი. სულ ტყუილებში ვართ, არავითარი გამჭვირვალობა. რატომ ელოდებოდა ვინმე, რომ ხალხი მიესეოდა ამ ჩინურ ვაქცინებს. მით უმეტეს, ევროპული ქვეყნების ნაწილმა არ გამოუცხადა ნდობა ჩინურ ვაქცინას და ამ ვაქცინით აცრილებს არ უშვებენ თავის ქვეყნებში. ყველა ელოდება ამ ფაიზერს.

– ფაიზერიც რომ არ ჩანს?

– სად არის ფაიზერი? მე ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ფაიზერი არის შემოტანილი რაღაცა ნაწილი და უბრალოდ არ აჩენენ.

– რატომ?

– იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ფაიზერით დაიწყებს აცრას და ჩინურით საერთოდ აღარ აიცრებიან. პრაქტიკულად ვერ მართავენ სიტუაციას. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ თავად ვერ გრძნობენ, რომ ვერ მართავენ. გამოსავალი ერთია, უნდა ადგნენ და წავიდნენ. თუ უნდათ, რომ მიიღონ შედეგი, უნდა შეცვალონ სისტემა, სისტემური მიდგომა. რა შედეგს გვაძლევს ეს სისტემა, ხომ ყველა კარგად ვხედავთ?! მუდმივი ტყუილები, მუდმივი შეცდომები. დაკარგული ვაქცინები.

– რა გაირკვა ასტრა ზენეკას ვაქცინებთან დაკავშირებით?

– არც არაფერი! ხომ შევიდა აუდიტის სამსახური, რა ვერ იპოვა ამისთანა? მესამე კვირაა შესულები არიან, რა უნდა ამ დასკვნის დადებას?! მაგრამ რა მოხდა? მინისტრმა თავის დაქვემდებარებაში მყოფი აუდიტი შეიყვანა. მელამ თავის კუდი მოწმედ მოიყვანაო, აი ეგ სიტუაციაა. სერიოზული პრობლემაა, უნდა ვიცოდეთ, რა მოხდა. დაიკარგა, გადავასხით, თუ ვიღაცას გავუკეთეთ, ვისაც არ ეკუთვნოდა?!

– ამერიკა მესამე დოზით აცრას იწყებს ფაიზერით და ჩვენ ჯერ პირველიც არა გვაქვს...

– ჩვენ საშინელ დღეში ვართ და ასე იქნება, სანამ ესენი იქნებიან ხელისუფლებაში. მთლიანად, თავის პრემიერ-მინისტრიანად. აღარაფერს ვამბობ ჯანდაცვის სამინისტროზე, რომელსაც მინისტრი არა ყავს. არ მინდა ამირან გამყრელიძეზე რაიმე ცუდის თქმა, მაგრამ მან მაინც უნდა გამოიჩინოს პრინციპულობა და თქვას, რომ ასე არ შეიძლება. ამირან გამყრელიძემ ძალიან კარგად იცის, როგორ უნდა იყოს და რა უნდა იყოს,

„ნერონმა რომ თავის ცხენი შეიყვანა სენატში და სენატორად დანიშნა, დაახლოებით მაგ დონის ჯანდაცვის მინისტრი გვყავს ჩვენ!“

მაგრამ შტერები რომ ყავს გარშემო, ვერაფერს აკეთებს. გამოიჩინოს პრინციპულობა და თქვას, რასაც ესენი აკეთებენ, ძალიან არასწორია.

– გამყრელიძის გაშვებაზე იყო საუბარი...

– კი, ამირანის მოხსნას აპირებენ. არადა, ამ სისტემაში ერთადერთი კაცია, რომელიც აზროვნებს. მისი წასვლა საერთოდ ბოლომდე დაანგრევს ამ სისტემას.

– რატომ უშვებენ? ამ დაკარგულ ვაქცინებს უნდა გადააყოლონ?

– ვიღაცას ხომ უნდა შეაწმინდონ ხელი. სხვათა შორის, გამყრელიძე ერთადერთი იყო, ვინც ეწინააღმდეგებოდა ამ ნიღბების ტარების მოხსნას, ერთადერთი! ეს როგორ გაბედე, ჩვენ წინააღმდეგ წახვედიო.

– დაპირისპირებაა შიგნით?

– რა თქმა უნდა, ძალიან დიდი განხეთქილებაა შიგნით, პრაქტიკულად დღეს გამყრელიძეზე დგას ეს სისტემა და ის თუ გაუშვეს, მერე ყველაფერი ჩამოეშლებათ. მაშინ ყველა უნდა წავიდეს, მთელი სისტემა და საერთოდ ახალი ხალხი, ახალი ხედვაა საჭირო, სხვანაირი გამოცდილებით და სხვანაირი ცოდნით. ვიღაც ხომ უნდა იპოვონ ამ წინასაარჩევნოდ, გამყრელიძე იქნება განტევების ვაცი. იმასაც გეტყვით, რომ საარჩევნოდაც ძალიან ცუდი რაღაცები მოხდება, ძალიან ცუდი. ესენი ამ თავის გამოცხადებულ გეგმას ვერ შეასრულებენ და შემოდგომით ნახეთ, მერე ახალ-ახალი ტალღები.

– ფაიზერზე ვსაუბრობდით და რატომ გახდა საჭირო მესამე დოზის დამატება, ვერ ერევა ორი დოზა ინდურ შტამს?

– არა, ამას ინდურ შტამთან კავშირი არა აქვს. ამაზე ფაიზერი საუბრობდა უფრო ადრეც, რომ მუდმივად დაგვჭირდება ე.წ. გამაძლიერებელი მესამე დოზა. შეიძლება მეოთხეც დაგვჭირდეს და შესაძლოა ყოველწლიურად თითო დოზის გაკეთება კიდე მოგვიწიოს. ეს არ უკავშირდება ინდურ შტამს, ამაზე თებერვალსა და მარტში საუბრობდა ფაიზერი. აი ამ ფონზე, ჩვენ ძალიან სავალალო სიტუაციაში ვართ. კი შემოვიდა ჩინური, მაგრამ არავის არ უნდა. ასევე ძალიან ცუდი ორგანიზებაა. თბილისში კიდევ იცრებიან, სოფლებში აცრის გაგონებაც არ უნდა ხალხს.

– მძიმე შედეგებს ელით?

– რაღაც სასწაულს მოვიწევთ. 1400 შემთხვევა და 24 კაცია მკვდარი. ეს კატასტროფაა. შარშან რაც მივიღეთ ბათუმში, ბათუმს მივიღებთ ყველგან. ახლაც არავინ იცავს რეგულაციას ბათუმში. ვერავის ნახავთ იქ პირბადით, არც შიგნით, არც გარეთ, არავინ აღარ დადის ნიღბებით. საშინელება ხდება. აი რუსეთიდან შემოსული ტურისტი იქნება, ხომ იქნება ყველაზე დიდი ბომბი. შარშან ჩაკეტილ საზღვრებზე რამდენი რუსი ტურისტი შემოვიდა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება გახსნილ საზღვრებზე?! მარტო ნაყიდი ცნობით კი არ უნდა შემოვუშვათ, პისიარი ტესტის პასუხები უნდა მოვითხოვოთ. სხვა შემთხვევაში დიდ საშინელებას მივიღებთ. გვღუპავს ეს ხელისუფლება, საერთოდ არ არიან სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები. მარტო მომავალ არჩევნებზე ფიქრობენ, მეტი არაფერზე. დაგვღუპავენ ესენი. მიგვიშვან მე და ჩემნაირები და გამოვასწორებთ სიტუაციას, ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ.

– ანუ გამყრელიძის გაშვება გადაწყვეტილი აქვთ?

– როგორც მე ვიცი, გადაწყვეტილი იყო, ცოტა ხანს შეაჩერეს. ელოდებიან, თუ კიდევ რაღაც მოხდა და გეგმის მიხედვით არ წავიდა, სწორედ მას შეახოცავენ ხელს. აბა, ახლა ნერონის ცხენს ხომ არ მოკიდებენ ხელს?! ნერონმა რომ თავის ცხენი შეიყვანა სენატში და სენატორად დანიშნა, დაახლოებით მაგ დონის ჯანდაცვის მინისტრი გვყავს ჩვენ!

აშშ-ის საელჩო: მოვუწოდებთ სიმშვიდისკენ და იმ ძალადობის დასრულებისკენ, რომელმაც უკვე გამოიწვია ერთი ადამიანის ტრაგიკული სიკვდილი

აშშ-ის საელჩო ოპერატორ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ყველა, ვინც თავს დაესხა მშვიდობიან მოქალაქეებსა და ჟურნალისტებს 5 და 6 ივლისს, ან ვინც წააქეზა ძალადობა, უნდა გამოვლინდეს, იქნას დაპატიმრებული და უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე კანონის სრული სიმკაცრით.

საელჩოს მოწოდებაა სიმშვიდისკენ და იმ ძალადობის დასრულებისკენ, რომელმაც უკვე გამოიწვია ერთი ადამიანის ტრაგიკული სიკვდილი.

„ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო თბილისში ღრმა მწუხარებით უსამძიმრებს ლექსო ლაშქარავას ოჯახს, უპირველეს ყოვლისა, ლექსოს დედას, მის კოლეგებს „ტვ პირველში“ და ყველას, ვინც შეძრულია და დამწუხრებულია მისი გარდაცვალებით. ლექსო, როგორც მედია პროფესიონალი, მრავალი წელი კამერის უკან მუშაობდა და შეიძლება ზოგს ის ვერც კი ეცნო, სანამ მას სასტიკად არ გაუსწორდნენ ის პირები, რომლებმაც ადამიანის სიცოცხლისადმი პატივისცემის სრული უგულებელყოფა აჩვენეს. ლექსოს მიერ კოლეგის დაცვისას გამოვლენილი სიმამაცე და მისი ერთგულება ფუნდამენტური თავისუფლებების მიმართ, რასაც ოდითგანვე აფასებდნენ ამ ქვეყანაში, წარმოადგენს ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებებსა და ტრადიციებს.

ლექსოს თავდასხმასთან დაკავშირებით რამდენიმე პირის დაკავება პირველი დადებითი ნაბიჯია სამართლის აღსრულებისკენ. თითოეული ქართველი ჟურნალისტის უსაფრთხოება და დემოკრატიისადმი რწმენა საქართველოში მოითხოვს, რომ ყველა, ვინც თავს დაესხა მშვიდობიან მოქალაქეებსა და ჟურნალისტებს 5 და 6 ივლისს, ან ვინც წააქეზა ძალადობა, უნდა გამოვლინდეს, იქნას დაპატიმრებული და უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე კანონის სრული სიმკაცრით.

ჩვენ მოვუწოდებთ სიმშვიდისკენ და იმ ძალადობის დასრულებისკენ, რომელმაც უკვე გამოიწვია ერთი ადამიანის ტრაგიკული სიკვდილი“, – აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც საელჩო ავრცელებს.

„პარლამენტმა პრემიერის წინააღმდეგ მექანიზმების გამოყენება უნდა დაიწყოს“

ღია საზოგადოების ფონდის განცხადება

– მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, დაუყოვნებლივ დაიწყოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ კონსტიტუციით გათვალისწინებული პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმების გამოყენება.

ამის შესახებ ნათქვამია „ღია საზოგადოების ფონდის“ განცხადებაში.

„დიდი გულისტკივილით ვეხმიანებით ტელეკომპანია „ტვ პირველის““ ოპერატორის ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებას და ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, „ტვ პირველის“ გუნდს და ჟურნალისტთა კორპუსს.

ლექსო ლაშქარავა იყო მედიის იმ 50-ზე მეტი წარმომადგენლებიდან ერთ-ერთი, რომლებიც 5 ივლისს სიძულვილის ჯგუფების მიერ მასშტაბური და სასტიკი ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. ძალადობრივი ჯგუფების შესაჩერებლად ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა!

5 ივლისის ძალადობის უმძიმეს შედეგებზე პასუხისმგებელნი არიან პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელთაც დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ თანამდებობა!

მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, დაუყოვნებლივ დაიწყოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმების გამოყენება, – ნათქვამია განცხადებაში.

„თავი შეიკავეთ ლექსო ლაშქარავას მონაცემების გავრცელებისგან!“

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განცხადება

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მოუწოდებს ყველა პირს, თავი შეიკავონ გარდაცვლილი ოპერატორის ლექსო ლაშქარავას შესახებ მონაცემების გაზიარებისა და გავრცელებისგან, ვინაიდან ეს ხელყოფს გარდაცვლილის პირად ცხოვრებას და წარმოადგენს კანონის დარღვევას.

„სოციალურ ქსელში სხვადასხვა პირების მიერ ვრცელდება ალექსანდრე (ლექსო) ლაშქარავას შესახებ პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები – ინფორმაცია მისი დაკავების, მისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების, მის მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემის, მისი სისხლის სამართლის საქმეში ამა თუ იმ სტატუსით მონაწილეობის შესახებ.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია ვრცელდება ისეთი პირების მხრიდან, რომლებსაც დიდი ალბათობით ხელი არ უნდა მიუწვდებოდეთ არც სისხლის სამართლის საქმის, არც ადმინისტრაციული საქმისწარმოების მასალებზე და არც სამართალდამცავი ორგანოების მფლობელობაში არსებულ იმ საინფორმაციო ბაზებზე, რომლებშიც აღნიშნული მონაცემები შესაძლოა ინახებოდეს, მათი რეალობის/სიზუსტის შემთხვევაში.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაიწყო შემოწმება იმის შესახებ, თუ რა გზით გახდა ცნობილი ეს მონაცემები სხვადასხვა პირებისთვის.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მოუწოდებს ყველა პირს, თავი შეიკავონ გარდაცვლილის შესახებ მონაცემების გაზიარებისა და გავრცელებისგან, ვინაიდან ეს ხელყოფს გარდაცვლილის პირად ცხოვრებას და წარმოადგენს კანონის დარღვევას“ – ნათქვამია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განცხადებაში.

საშემოსავლო გადასახადი შეიძლება განახევრდეს

საშემოსავლო გადასახადი შესაძლოა განახევრდეს, ხელფასის გაცემა კი თვეში ორჯერ მოხდეს. ამის შესახებ საკანონმდებლო წინადადებით მოქალაქე მაკა მინდიაშვილმა პარლამენტს მიმართა.

კერძოდ, როგორც საკანონმდებლო ინიციატივაში ვკითხულობთ, დოკუმენტი შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანას გულისხმობს. საკანონმდებლო წინადადების ავტორის შეფასებით, საჭიროა კოდექსში ყველა სიტყვა ნათლად იყოს გაწერილი, რადგან დამსაქმებელს სიტყვებით მანიპულირების საშუალება არ მიეცეს.

მათ შორის, საკანონმდებლო წინადადება გულისხმობს, რომ საშემოსავლო გადასახადი არსებული 20%-ის ნაცვლად გახდეს 10%. ეს ცვლილება, წინადადების ავტორის შეფასებით, ხელს შეუწყობს კერძო ბიზნესის სტიმულირებას და ხელფასების მატებას. ამასთან, წინადადების მიხედვით, შესაძლოა, დასაქმებულებმა ხელფასი არა თვეში ერთხელ, არამედ თვეში ორჯერ – ორ კვირაში ერთხელ აიღონ.

მოქალაქის საკანონმდებლო წინადადების განხილვა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს დაევალა, გადაწყვეტილება კი კომიტეტმა პარლამენტის ბიუროს უნდა აცნობოს.

ბიბიენი

„ქუჩაში მოძალადე ხელისუფლება გვყავს“

გედევან ფოფხაძე: „ახლა უნდათ ეს ყველაფერი საპატრიარქოს დააბრალონ. საპატრიარქოს თეორიულადაც არ შეუძლია ასე მართოს საპროტესტო, სტიქიური ჯგუფები“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, რას იტყვით ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით? როგორი უნდა იყოს ხელისუფლების გადაწყვეტილება?

– ხელისუფლება თუ ადეკვატური იქნება ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ადეკვატური იქნება შექმნილი რეალობის, უნდა შეიქმნას დროებითი სტრუქტურა, რომელიც ვადამდელ არჩევნებს უზრუნველყოფს. მე ვთვლიდი, რომ ეს ხელისუფლება არალეგიტიმურია, რაც არჩევნების მერე არაერთხელ დაამტკიცა. ლეგიტიმაცია უფლებამოსილების შესაბამისად კანონის ფარგლებში საქმიანობას გულისხმობს.

მთავრობას ჰყავს პოლიტიზირებული ძალოვნები, პოლიტიზირებული სასამართლო და ცდილობს, საზოგადოების ტერორის გზით შეინარჩუნოს ძალაუფლება. როგორი იქნება საზოგადოების პასუხი ამაზე, რთული სათქმელია. თუმცა, საზოგადოებას აქვს უფლება, რადიკალური პასუხი გასცეს ამ ყველაფერს.

– ამ დღეების მანძილზე რამდენად ადეკვატური იყო ხელისუფლება? ამერიკის ელჩის, კელი დეგნანის განცხადება ძალიან საინტერესო იყო. ის აცხადებს, რომ ძლიერ ლიდერებს ისურვებდა.

– ბოლო დროს ხელისუფლება საერთოდ არ არის ადეკვატური, მაგრამ ამ მოვლენებში ხელისუფლებამ მოინდომა დამატებითი პოლიტიკური ინტერესის ჩადება. კონკრეტულად კი ხელისუფლებას უნდოდა გამოსულიყო ეროვნულ-პატრიოტული-მართლმადიდებლური იმიჯით. რეალურად კი წარდგა, როგორც მოძალადე ავანტიურისტი. საზოგადოების ერთმანეთზე დამპირისპირებელი. ხელისუფლების ვალდებულებაა ძლიერი იყოს და კანონის აღსრულება უზრუნველყოს. ხელისუფლება ავანტიურისტი არ უნდა იყოს. შეიძლება საზოგადოებაში იყვნენ დაპირისპირებული ჯგუფები, მაგრამ ამ ვითარებაში ხელისუფლება არ უნდა იყოს მხარე. პირიქით უნდა იყოს. მედიატორი უნდა იყოს, რომ საზოგადოებაში კონფლიქტი არ მოხდეს. ჩვენ კი რა ვნახეთ, რადიკალური ჯგუფების დაორგანიზა, თითქოს კონტრაქციის საწინააღმდეგოდ, მაგრამ კონტრაქცია იმთავითვე ცნობილი გახდა, რომ აღარ გაიმართებოდა. სამაგიეროდ შტურმი მიიტანეს მედიაზე, საერთაშორისო ორგანიზაციებზე, ევროკავშირზე. ორჯერ ჩამოგლიჯეს დროშა. ამ მოვლენებში ხელისუფლება წარმოდგა ცალსახა მხარედ. როგორც თავის დროზე მოახდინა დავითგარეჯის საკითხით სპეკულირება, ამჯერად უნდოდა მართლმადიდებელი, ვაჟკაცობის დამცველი ხელისუფლების სახელით სპეკულირება. რეალურად კი მივიღეთ ჩვეულებრივ, ქუჩაში მოძალადე ხელისუფლების სახედ.

ახლა უნდათ ეს ყველაფერი საპატრიარქოს დააბრალონ. საპატრიარქოს თეორიულადაც არ შეუძლია ასე მართოს საპროტესტო, სტიქიური ჯგუფები. ისედაც ეს არ არის პატრიარქის ბუნებაში. შეიძლება ცალკეული სასულიერო პირები ამ პროცესის მონაწილეები გახდნენ, მაგრამ ახლა მთლიანად პროცესის საპატრიარქოსთვის გადაბრალება, შეუძლებელია. ამით კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა ხელისუფლებამ, რომ ის არანაირად არ არის პოზიტიური ვალდებულების შემსრულებელი ამ ქვეყანაში. მას ერთადერთი ამოცანა აქვს – ხელისუფლება შეინარჩუნოს. ვინც კი ხელისუფლებაშია, იმ ჯგუფებმა მიიღონ ყოველგვარი სიამოვნება და კომფორტი.

– ხელისუფლებამ იქნებ მართლაც ვერ შეძლო თავი გართმევა ამ პროცესებისთვის, როგორც კობახიძემ განაცხადა?

– მელიას შტაბის აღება ხომ შეძლო?! ვნახეთ არაერთი დარბეული მიტინგი, მათ შორის 20 ივნისის მიტინგი და რატომ ვერ შეძლო ამ ხალხის დაშოშმინება მაინც?! ყველამ ყველაფერი იცის. ამ ყველაფრის მერე ირაკლი კობახიძის განცხადება ცინიზმია. უკვე ჩვეული სტილია მთავრობის ეშმაკობა, აფერისტობა. გაცემული პირობის კვალდაკვალ პროპორციულ არჩევნებზე გადავდივართ და შემდეგ დაჩი ბერიამ და დიმიტრი ხუნდაძემ როგორ მოუწყვეს „დებოში“ ბიძინა ივანიშვილს, ყველას კარგად გვახსოვს. საქმე გვაქვს ჩვეულებრივ აფერისტებთან. კობახიძისთვის ეს უკვე ბუნებრივი მდგომარეობაა.

– სად ხედავთ გამოსავალს?

– ხელისუფლება უნდა გადადგეს და რიგგარეშე არჩევნებისთვის დაიწყოს მზადება. თუ მშვიდობიანად არ წავლენ და წინააღმდეგობის გაწევას მოინდომებენ, მაშინ ვითარების ესკალაცია მოხდება. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე. ასეთი განცდა მქონდა „ნაციონალური მოძრაობის“ დროსაც, როდესაც ქვეყანა ციხედ გადააქციეს და მაშინ ჩვენ ამას არ შევეგუეთ. ბიძინა ივანიშვილი კი გვეუბნება, „ნაცები“ მოგაშორეთ, მაგრამ რეალობა იგივე დატოვა. ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქისთვის, მნიშვნელობა არ აქვს, ვისი სახელი ერქმევა ციხეს და ამ ციხეში არსებულ რეალობას. ჩვენ ან რეალობას შევცვლით, ან ვიცხოვრებთ ამ რეალობაში, სადაც არ არსებობს სახელმწიფო და სახელმწიფო სტანდარტი.

გიგლა ბარამიძე: „5 ივლისს პროვოკაციები მოხდა“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველო შეძრა „ტვ პირველის“ ოპერატორის, ლექსო ლაშქარავას დაღუპვამ. საზოგადოების უმრავლესობა ამაზე პასუხისმგებლობას აკისრებს ხელისუფლებას და მოითხოვს პრემიერ-მინისტრის გადადგომას. პოლიტიკოსი და დიპლომატი გიგლა ბარამიძე „ახალ თაობასთან“ სხვების პასუხისმგებლობაზე საუბრობს.

გიგლა ბარამიძე:

– ეს არის პროვოკაციების შედეგი. 5 ივლისს იკადრეს ბევრი სიბინძურე. მეორე მხრიდან ძალადობრივი შემთხვევებიც იყო. ამავე დროს, ხდებოდა პროვოკაციები. ამას ახდენდა ნაცმოძრაობა თავის გარემოცვასთან ერთად. ეს იყო ანტიხალხური და ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებები. ნაცმოძრაობა არის მორიელების სექტა, რომელიც არ მოიშლის პროვოკაციებს სახელმწიფოს წინააღმდეგ. ნაცმოძრაობა იყო ერთ-ერთი მომლაპარაკებელი მაგიდასთან, რომელიც დამთავრდა ე. წ. მიშელის შეთანხმებით. ამას ნაკლებად ჰქონდა რაიმე საერთო ხალხთან. კრიზისის დასაძლევად მოლაპარაკებები არ უნდა გამართულიყო გასაიდუმლოებულად. დაუჩემებიათ, რომ იცავენ ლგბტ-თემის უფლებებს. ეს არის დიდი ტყუილი. არავის ადარდებს ამ ხალხის ბედი. ჩვენ, ყველანი ვიცნობთ უმცირესობებს. ისინი არიან შემოქმედებით, ჯანდაცვის სფეროში და სხვაგან. ლგბტ-საზოგადოების წარმომადგენლებს მარშებისთვის არ სცალიათ. მათ დამცველებად თავს ასაღებენ ისინი, ვინც ამაზე უზარმაზარ ფულს აკეთებს. ლგბტ-საკითხებზე დიდი ფული იშოვება, დიდი გრანტები მოდის. საქართველოში ამ ხალხს არასდროს არავინ დევნიდა. შეიძლება უმცირესობების ცხოვრების წესი მოსაწონი არ ყოფილიყო, მაგრამ ამ პირებს არავინ ავიწროებდა. საზოგადოება ამ კატეგორიის გამოჩენილ და ნიჭიერ წარმომადგენლებს აფასებდა. თუ შევიწროება იყო, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან მაშინდელი კანონებიდან გამომდინარე. სექსუალური უმცირესობის ზოგიერთი წევრი ქუჩაში დგას და კლიენტებს იზიდავს. ეს საშიში რომ იყოს, არ იდგებოდნენ. ხმაურის ატეხა იმაზე, თითქოს ასეთი ადამიანები საქართველოში იდევნებიან, საჭიროა იმისთვის, რომ ამ პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიღონ დიდი გრანტები და გააგრძელონ თავიანთი ბიზნესი.

ამას ხელს უწყობს ხელისუფლების სისუსტე და უმოქმედობა. ნაცმოძრაობა მიჩვეულია პროვოკაციების მოწყობას. 2019 წელს, ივნისშიც მონაწილეობდნენ პროვოკაციაში.

– ამ დღეებში ევროკავშირის დროშა ჩამოაგდეს და დაწვეს.

– ეს არის პროტესტის ნაწილი. არ გინახავთ, როგორ წვავენ ასეთ დროშებს საფრანგეთში, უნგრეთში? ეს ხდება ხოლმე აქციების დროს. ამის გამო ადამიანებს არ აკავებენ. დროშის ჩამოხსნა არ ნიშნავს, რომ საქართველოსთვის ევროპა მიუღებელია. ეს არის პროტესტი იმის მიმართ, რომ ზოგიერთი დასავლელი ელჩი ამეტებს თავის უფლებამოსილებას და თავზე გვახვევს უზნეობას.

– გარკვეული ხნის წინ, 15-მა პოლიტიკურმა პარტიამ (მათ შორის, ნაციონალურმა მოძრაობამ) „თბილისი პრაიდთან“ ხელი მოაწერა მემორანდუმს თანამშრომლობაზე. ეს რისი მაუწყებელია?

– ნაცსექტა პროვოკატორი და ყველაფერზე წამსვლელია. სხვებიც პოლიტიკური მეძავები არიან. ისინი თავის წილ ლუკმას ელიან და მოაწერეს ხელი ამ მემორანდუმს. ხედავენ, რომ დასავლეთი მაგათ დიდად არ ენდობა. ამიტომ გამოცადეს – ლგბტ-პრაიდის მოწყობასაც ხელს შევუწყობთ, ყველაფრისთვის მზად ვართო. რესპუბლიკური პარტიის ორი წარმომადგენელი ქალბატონი განსაკუთრებული თავგამოდებით ტეხს ჟივილ-ხივილს ლგბტ-საკითხებზე და განსაკუთრებული ზიზღით ებრძვის ეკლესიას. როცა დასჭირდებათ, ყველას შეუერთდებიან. ეს პარტია „ქართული ოცნების“ კოალიციაშიც იყო. ბოიკოტში მონაწილე პარტიებმა ამომრჩეველი დაარწმუნეს, რომ პარლამენტში ფეხს არ შედგამდნენ. აგერ, შევიდნენ პარლამენტში და იქიდან უშნოდ იტყლარჭებიან. ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ სუსტია სახელმწიფო ინსტიტუტები. ვიღაც ცუდად იყენებს იდეებს. ასე, ნაპოლეონს და მაკედონელსაც კარგი განზრახვები ჰქონდათ. ჰიტლერი პირობას დებდა, რომ მსოფლიოს კომუნისტების სენისაგან გაათავისუფლებდა. სინამდვილეში, საკონცენტრაციო ბანაკები ააშენა და ბევრი უბედურება ჩაიდინა. შავკანიანის დაჩაგვრა რასიზმია. ებრაელის შეურაცხყოფა – სიონიზმი. ლგბტ-პირების აუგად მოხსენიება – ჰომოფობია. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და მისი საჭეთმპყრობელის მიწასთან გასწორება კი ყოფილა გამოხატვის და სიტყვის თავისუფლება.

– საზოგადოების პოლარიზაცია გამოიწვია აგრეთვე პარლამენტის შენობასთან კონტრაქციის მონაწილეების მიერ აღმართულმა ჯვარმა.

– ეს ჯვარი ხალხის სურვილით დაიდგა. ნებართვა ჯერ არ აქვთ, თუმცა ნებართვასაც აიღებენ მერიიდან. თუ საჭიროა, დიზაინსაც შეცვლიან. ამას დაემთხვა ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა – დიდმოწამე ქეთევანის წმინდა ნაწილების სამშობლოში ჩამობრძანება. მინდა თქვენ გაზეთს და მის მკითხველს მივულოცო ეს მოვლენა. ეს მათთვის არის „რკინის კონსტრუქცია“. ვიღაცას ჯვარი თვალში ეჩხირება. ეს არის ყველა ჩვენგანის შეურაცხყოფა, ვისაც ჯვარი გულზე გვიკიდია. ამ შენობის თაღებში წმინდა ნინოს ჯვრის აღმართვის მცდელობა ჰქონდა ზვიად გამსახურდიას. იქვე გაკეთდა წარწერა „ენა, მამული, სარწმუნოება“. ჩემი აზრით, პარლამენტთან აღმართულ ჯვარზე (მისი დიზაინის შეცვლა შესაძლებელია) უნდა იყოს ეს წმინდა სიტყვები. „ენა, მამული, სარწმუნოება“ რეალურად უნდა იქცეს საქართველოს იდეოლოგიად.

– 9 ივლისს ჯვრის დასაცავი აქციაც კი გაიმართა. გარკვეულ ჯგუფებს უნდათ მისი აღება.

– ჯვრის გამო გაშმაგება უცნაურია. ეს არის ჩვენი სიწმინდე. ჯვარი, გარკვეულწილად, არის ევროპის ნიშანი. ბევრ ევროპულ სახელმწიფოს ის დროშაზე აქვს გამოსახული. ჩვენთან ევროპა სხვანაირად ესმით. ზოგს ჰგონია, რომ ანგლოსაქსებში გაერევა. ანგლოსაქსები არ მიგვიღებენ. ჩვენ ჩვენი კულტურით და ცხოვრებით ჩვენი სიტყვა უნდა ვთქვათ, ჩვენს პრობლემებს მივხედოთ.

„პრემიერი ღარიბაშვილი და შს მინისტრი გომელაური უნდა გადადგნენ!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– თავისი ნებით მივიდნენ ისინი და საპატრიარქოს ხელი არ ყოფილა?

– რა მნიშვნელობა აქვს, იყო თუ არა, ყველას ხომ აქვს თავისი აზრი. პატრიარქი რასაც ამბობს, ყველაფერს ხომ არ გააკეთებს ადამიანი?! პატრიარქი იმასაც გვეუბნება, არ გაუშვათ შვილები საზღვარგარეთ სასწავლებლადო, მაგრამ არავინ უჯერებს.

– ჩვენ არა, მაგრამ ალბათ ზოგი უჯერებს.

– არავინ არ უჯერებს. მე ასეთი ადამიანი არ მინახავს. პატრიარქი რას ამბობს ერთია და რას ასრულებ – მეორე. არა მგონია, რომ ხათრის ამბავი იყოს. რიონის ხეობის მცველებმა თქვეს თავისი დამოკიდებულება იგივე ლგბტ პრაიდის მიმართ და იგივე ამ საზოგადოების მიმართ. ამაში ვერ ვხედავ ტრაგედიას.

არ მგონია, რომ რაიმე კურდღელი დაიჭირა ხელისუფლებამ ამ ამბებით. პირიქით, გაირთულა პრობლემები. დავაკვირდეთ, რა მიზანი შეიძლება ჰქონოდა ასეთ მანიპულაციას. ერთადერთი ის, რომ ოპოზიციისთვის „შეეტენა“ ლგბტ დამცველობა და „პიდარასტობის“ იარლიყი მიეკრა. ამით აღარ იტყოდნენ, „ნაცებს“ აღარ მოვუშვებთო. იტყოდნენ, ჩვენ თუ არა, წაგლეკავთ ლგბტ-ო. ეს პროპაგანდა ოპოზიციის ამომრჩეველზე სულ არ მოქმედებს. მაქსიმუმ „ოცნების“ ამომრჩეველზე და თავისი ამომრჩეველიც ვერ განიმტკიცა, იმდენად უხეში ფორმებით მოხდა შესრულება.

– თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ოპოზიციაშიც არიან ამ ღირებულებების მატარებელი ხალხი. ალბათ მოუსმენდით, მაგალითად, გუბაზ სანიკიძის განცხადებას.

– არ აქვს მნიშვნელობა პოლიტიკოსს და მის განცხადებას ამ შემთხვევაში. მთავარი ამომრჩეველია და ის აძლევს ხმას. „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველი რამდენად რელიგიურიც არ უნდა იყოს, ბიძინა ივანიშვილს ხმას არც ერთ ვარიანტში არ დაუჭერს. ამ მძიმე ამბების მერე, „ოცნების“ ამომრჩევლის შედარებით ცივილიზებული ამომრჩეველი აუცილებლად გადაიხრებოდა გახარიასკენ. დანაკარგი თუ იქნება, თორემ შენაძენი არაფერი.

– ღარიბაშვილის შემცვლელად განიხილება კახა კუჭავა, დასახელდა დავით ნარმანიაც. ახსენეთ დასავლეთთან გაფუჭებული ურთიერთობები და ამ მხრივ კუჭავა ალბათ მისაღები იქნება, მაგრამ მეორეა ის, თუ რამდენად მართავს „ოცნების“ საკმაოდ ეკლექტიკურ შემადგენლობას?

– არა მგონია, რომ საერთოდ ვინმემ მართოს. ივანიშვილს უდგას ამოცანა, რომ რამენაირად ჩააცხროს დასავლეთის უკმაყოფილება და შეიძლება ამ მიზნით რაღაც ნაბიჯები გადაიდგას. ღარიბაშვილის მიმართ უკმაყოფილება ამერიკის ელჩმა პირდაპირ დაადასტურა. ასეთი რამე ისტორიაში საერთოდ არ მახსენდება. ვფიქრობ, რომ აუცილებლად გამოიცვლება. ვისით ჩაანაცვლებენ, ეს არ ვიცი. შეეცდებიან, რომ უფრო დასავლეთისთვის მისაღებით შეცვლიან. რამდენად გააკონტროლებს და რამდენად არა, მნიშვნელობა არ აქვს. ივანიშვილს არც სჭირდება ისეთი, ვინც ყველაფერს გააკონტროლებს. სჭირდება ნომინალური ფიგურა. ბახტაძე იყო იდეალური, მაგრამ რაღაც პერიოდში ამოიწურა მისი ფუნქციები და მორჩა. ნარმანიას რაც შეეხება, განიხილავთ, რომ შესაძლოა დაბრუნდეს?!

– ნარმანიას კანდიდატურას რაც შეეხება, ამაზე რას ფიქრობთ?

– რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ის რომ ასეთ კანდიდატურაზე გაჩნდა ინფორმაცია, ეს ჩემთვის იმის ნიშანი იყო, რომ ნამდვილად რაღაცა ხდება და ნამდვილად აპირებენ პრემიერის გამოცვლას. რომ დაჯდეს ვინმე და იფიქროს, ვინ შეიძლება იყოს ღარიბაშვილის ნაცვლად, დარწმუნებული ვარ, არავის თავში არ მოუვიდოდა აზრად ნარმანიას კანდიდატურის დასახელება. რახან დასახელდა, ეს ნიშნავს, მართლა განიხილება. იმიტომ, რომ ამის მოგონება შეუძლებელია, ვიღაცამ ფანტაზიის და ჭორის დონეზე შეთხზას. რომ დავფიქრდი, ეს ივანიშვილის სტილში კარგად ჯდება. ერთი მხრივ, ის არის წესიერი ადამიანი – ის არ არის ქურდი, მექრთამე, კლანი არ ჰყავს. მეორე მხრივ, ის არ არის ლიდერი, რომ შეძლოს დიდი ავტორიტეტის მოხვეჭა, რომ მერე პრობლემა შეიქმნას ბიძინა ივანიშვილისთვის. საქმიანი არის, რაღაცა ცოდნა აქვს, გერმანული იცის, ინგლისურიც იცის ორიოდე სიტყვა. ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს ივანიშვილისთვის.

უტყუარი წყაროებიდან ის ინფორმაციაც მაქვს, რომ თბილისის მერობის კანდიდატად ნარმანია მეორე ვადითაც განიხილებოდა, მაგრამ თავადვე თქვა კატეგორიული უარი და მერე დაასახელეს. წინა არჩევნები მაქვს მხედველობაში, სანამ კალაძეს დაასახელებდნენ და გახდებოდა მერი. ახლაც მგონია, რომ თუ თვითონ არ იტყვის უარს, ივანიშვილისთვის ძალიანაც მისაღები კანდიდატია. ყველა იმ კრიტერიუმს აკმაყოფილებს, რომლითაც ივანიშვილი არჩევს თანამდებობის პირებს. ივანიშვილისთვის იდეალურია, მაგრამ მგონია, რომ თვითონ არ მოინდომებს პრემიერობას ნარმანია.

„ლექსო გადაბრუნებული იწვა, ძაღლი ეწვინა გვერდში, გალურჯებული იყო“

ტვ პირველის ოპერატორი ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა

გუშინ, 11 ივლისს, დილით, ტელეკომპანია ტვ პირველის ოპერატორი ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა.

ის პირველად დედამ ნახა, რომელმაც ტვ პირველს უთხრა:

– გამთენია იყო, დავაფარებ-თქო, გაუცივდა ფეხი და – აი ასე გადაბრუნებული იწვა და ძაღლი ჰყავდა გვერდში, ეწვა ძაღლი, დიდი, ჰოდა. არც დაუწკმუტუნია, ხომ იცის ძაღლმა....

გადმოვატრიალე და ჩემი შვილი გალურჯებული იყო.

ღამეც რომ მოვიდა, რამდენი მეფერა, გრძნობდა წინასწარ, აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო, ფრჩხილი არ სტკიებია, რა უქნეს.

5 ივლისს მიღებული დაზიანებების გამო ლექსო ლაშქარავა „ნიუ ჰოსპიტალსში“ მკურნალობდა. მისმა დირექტორმა გიორგი რამიშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა:

– პაციენტი ჩვენთან მკურნალობდა 5-დან 8 რიცხვამდე. 8 რიცხვში გაეწერა დამაკმაყოფილებელ ვითარებაში. ჩაუტარდა ყველა საჭირო ჩარევა და მანიპულაცია. შემთხვევას სწავლობს რეგულირების სააგენტო, რომელთანაც ვთანამშრომლობთ, გავდივართ, ვაანალიზებთ პროცესს და ჩვენი მხრიდან არის სრული თანამშრომლობა, ვაძლევთ ყველა ინფორმაციას.

გაწერას რაც შეეხება, აბსოლუტურად სტანდარტის შესაბამისად მოხდა ყველაფერი, არაფერი მანდ უცნაური არ არის. ასეა სტანდარტი მიღებული და ასე ეწერებიან ასეთი პაციენტები, რაც შეეხება დანარჩენს, ეს არის თეორიები, რომელთა შესახებაც მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ შეიძლება მსჯელობა. გაწერის წინ ჩაუტარდა კომპიუტერული ტომოგრაფია.

ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტზე ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოში გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლით დაიწყო.

„მიმდინარე წლის 5 ივლისს, თბილისი პრაიდის წინაღმდეგ გამართული აქციის გაშუქების დროს, ინგოროყვას ქუჩაზე მდებარე ორგანიზაცია „სირცხვილიას“ ოფისში, ტელეკომპანია „ტვ 1“-ის ჟურნალისტსა და ოპერატორს, ალექსანდრე ლაშქარავას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის, ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე გამოძიება მიმდინარეობს და დაკავებულია 4 პირი“ – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

გუშინვე შსს-მ ლექსო ლაშქარავას გადაადგილების კადრები გაასაჯაროვა, რომლებიც გარდაცვალების წინა დღესაა გადაღებული.

– აქტიურად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის გამოკითხვები იმ პირების, რომლებთანაც ბოლო პერიოდში გარდაცვლილს ჰქონდა შეხება. ვსწავლობთ მისი გადაადგილების მარშრუტს, მარშრუტის ამსახველ კადრებს, ასევე, ვახდენთ მასთან კავშირში მყოფი პირების იდენტიფიცირებას და მათ გამოკითხვას. აქვე, გამოძიების ინტერესიდან გამომდინარე, ვთხოვთ გარდაცვლილის ოჯახს და მის მეგობრებს, ითანამშრომლონ გამოძიებასთან და საგამოძიებო ორგანოს მიაწოდონ გარდაცვლილის კუთვნილი ტელეფონი, ვინაიდან მასში შესაძლებელია გამოძიებისთვის საჭირო ინფორმაცია ინახებოდეს.

ალექსანდრე ლაშქარავა მოპედის საშუალებით 10 ივლისს დღის განმავლობაში მის მეგობართან ერთად, რომელიც იმყოფება ამ ეტაპზე საგამოძიებო ორგანოში, გადაადგილდებოდა თბილისის სხვადასხვა ლოკაციაზე. შსს ამ ეტაპზე თავს იკავებს წინასწარი ვერსიების გახმოვანებისგან, რაც ისევ და ისევ ოჯახის და გარდაცვლილის ინტერესებიდან გამომდინარეობს. მოვუწოდებთ ყველას, თავი შეიკავონ წინასწარი დასკვნებისგან, – განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა მამუკა ჭელიძემ.

მისივე თქმით, არ იქნება სწორი, რომ გამოძიებამ წინასწარ ზედოზირებაზე ისაუბროს, თუმცა ეს ვერსია განიხილება.

– გუშინ რამდენიმე ლოკაციაზე გადაადგილდებოდა მის მეგობართან ერთად, მათ შორის იყო საბურთალოს რაიონი, ფონიჭალის დასახლება. ფონიჭალის დასახლებაში იყვნენ ორჯერ ჩასულები, თუმცა ამაზე შეგნებულად არ გვინდა ხაზის გასმა იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებას არ დარჩეს წინმსწრები ვერსიების გაჟღერების შთაბეჭდილება შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ექსპერტიზაში ჩართულია ოჯახი და დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც ზედმიწევნით შეისწავლის გარდაცვალების მიზეზებს – ნარკოტიკების როლს მის გარდაცვალებასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში თუ სხვა შესაძლო შედეგებს, – განაცხადა მამუკა ჭელიძემ.

„პოლიციელი ავთანდილ გვარამია ყოფილ ცოლს მოკვლით ემუქრება“

24 წლის ქალი ამბობს, რომ პოლიციელი მეუღლე, ავთანდილ გვარამია მოკვლით ემუქრება. მოსალოდნელი სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებზე ქალმა ტვ პირველის შაბათის ეთერთან ისაუბრა.

ახალგაზრდა ქალი ამბობს, რომ ის უკვე 7 წელია, რაც ქმრის მხრიდან სისტემატიური ძალადობის მსხვერპლია. ქალი ამბობს, რომ ერთ-ერთი შემთხვევის დროს პოლიციელმა მეუღლემ უმისამართო სროლა დაიწყო. ფაქტს მათი არასრულწლოვანი შვილი შეესწრო.

– რომ განერვიულდება და გაცეცხლებულია, არ არის გამორიცხული, ყველაფერზე წავიდეს, იარაღი უკანონოდ რამდენჯერ უსვრია სახლში, – ამბობს ქალი.

ქალი ამბობს, რომ ამ ფაქტის შემდეგ მეუღლეს დაშორდა, თუმცა ძალადობა ამით არ დამთავრებულა.

– რაც დავშორდით, უფრო გაღიზიანებულია, სამსახურის იარაღით მემუქრებოდა, – ამბობს ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი.

ქალმა სენაკის პოლიციას მიმართა. შაბათის ეთერმა მოიპოვა ის დოკუმენტი, რომლითაც დგინდება, რომ მსხვერპლი მყისიერი საფრთხის წინაშეა, თუმცა პოლიციას მათი უწყების თანამშრომლის მიმართ შემაკავებელი ორდერი არ გაუცია.

პოლიციელი ავთანდილ გვარამია, რომელიც ცოლის სიცოცხლის მოსპობის მუქარაშია მხილებული, ტვ პირველის კამერებს დაემალა, მოგვიანებით კი ცოლის მიერ წაყენებული ბრალდებები უარყო.

ქალის ადვოკატი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ პოლიციელი სამსახურებრივ გავლენებს პირადი მიზნებისთვის იყენებს. ადვოკატის თქმით, პოლიციელმა ყოფილი მეუღლის ჩვენება სიტყვა-სიტყვით იცოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას გასაიდუმლოებულ ჩვენებაზე წვდომა ჰქონდა.

„თბილისი პრაიდის“ ოფისის დარბევისთვის 3 პირს პატიმრობა შეეფარდა

„თბილისი პრაიდის“ ოფისის დარბევისთვის ბრალდებულებს: ალიკა ალაზოვს, გიორგი ოძელაშვილს და გიორგი ელიზბარაშვილს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ. დაცვის მხარე პატიმრობის ნაცვლად გირაოს ითხოვდა.

გამოძიება ბრალდებულების მიმართ 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას, ძალადობით ან ძალადობის მუქარით დევნას და ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევას გულისხმობს.

შეგახსენებთ, რომ რადიკალური ჯგუფები 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ ოფისში შეიჭრნენ და დაარბიეს.

ოზურგეთში შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს სცემეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური განცხადებას ავრცელებს, სადაც გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ, განმარტებულია ქალაქ ოზურგეთის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ფაქტის შესახებ, სადაც უაქციზო საქონლით (სიგარეტი) ვაჭრობით ფაქტის დროს, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელი შეუშალეს.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ეხმაურება სხვადასხვა მედია საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას და განმარტავს, რომ 9 ივლისს, ქალაქ ოზურგეთის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთი მეწარმის სავაჭრო ობიექტის დათვალიერების შედეგად, გამოვლინდა აქციზური მარკის სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული უაქციზო საქონლით (სიგარეტი) ვაჭრობის ფაქტი. ამ დროს აღნიშნულ ობიექტზე მყოფმა მეწარმემ და სხვა პირებმა, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებს, ხელი შეუშალეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში, მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და აიძულებდნენ დაეტოვებინათ ტერიტორია.

შემოსავლების სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მეწარმის მხრიდან გაწეული წინააღმდეგობის გამო, ვერ ამოიღეს უაქციზო თამბაქოს ნაწარმი და ვერ შეძლეს კანონით დადგენილი სხვა პროცედურების განხორციელება, რის გამოც შედგა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საგადასახადო კოდექსის 277-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მეწარმეს სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 800 ლარის ოდენობით.

ამასთან, ძალადობის შესახებ შეტყობინების საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაწყებულია გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით.

აქვე, აღვნიშნავთ, რომ მედია საშუალებებს გავრცელებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისთვის არ მიუმართავთ.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური აქციზური მარკის სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული უაქციზო საქონლის შენახვის/გადაზიდვის/რეალიზაციის მკაცრ მონიტორინგს ახორციელებს და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება“ – აღნიშნულია განცხადებაში.

ჩოხატაურში მანქანა ხევში გადავარდა და აფეთქდა

3 ადამიანი დაშავდა

ჩოხატაურში 9 ივლისს, საღამოს ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილები შეეჯახნენ. არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთი მანქანის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და მდინარე ორპირას ხევში გადავარდა.

ავტომობილი აფეთქდა. შემთხვევის შედეგად 3 ადამიანია დაშავებული.

ერთ-ერთი დაშავებული, მრავლობითი დაზიანებებით, კატასტროფის ბრიგადამ ჩოხატაურის კლინიკიდან ქუთაისში გადაიყვანა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო.

„15 წლის ქალიშვილის თვალწინ დაიღუპა“

თამუნა ჭიკაძეს საკუთარ სახლთან მანქანა დაეჯახა

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევში, 9 ივლისს, საღამოს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 40 წლის თამუნა ჭიკაძე დაიღუპა.

ახლობლების ინფორმაციით, ახალგაზრდა ქალს 15 წლის გოგონა დარჩა, რომელიც დედის სიკვდილს შეესწრო.

– საოცრად კარგი გოგო იყო. 15 წლის შვილი დარჩა, რომელიც დედის სიკვდილს შეესწრო. უმძიმესი ამბავია, მთელი სოფელი ტირის, – თქვა „პრაიმტაიმთან“ გარდაცვლილის ნათესავმა.

თამუნა ჭიკაძეს რამდენიმე წლის წინ, მეუღლეც ტრაგიკული შემთხვევით გარდაეცვალა. ახალგაზრდა მამაკაცი ტყეში უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა.

ახალგაზრდა ქალს გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი მსუბუქი ავტომობილი საკუთარ საცხოვრებელ სახლთან დაეჯახა. ავტომანქანის მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

თამუნა ჭიკაძე ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიება მომხდარ ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 276– ე მუხლის მეექვსე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და საგზაო უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

გორთან ხოჯევანიშვილების გაზგასამართი სადგური დაიწვა

გორში შინდისის გზატკეცილზე გაზგასამართი სადგური დაიწვა. სადგური გიორგი გახარიას თანაგუნდელის, გიორგი ხოჯევანიშვილის ოჯახს ეკუთვნის.

მომხდარის შედეგად სამი პირი დაშავდა. აქედან ორის მდგომარეობა მძიმეა.

55 წლის ხვიჩა გამეზარდაშვილი არხში გარდაცვლილი იპოვეს

თერჯოლაში 55 წლის ხვიჩა გამეზარდაშვილი გარდაცვლილი იპოვეს. ოჯახი მას 5 დღის განმავლობაში ეძებდა, 9 ივლისს კი ცხედარი სანიაღვრე არხში აღმოაჩინეს.

მას სხეულსა და სახეზე დაზიანებები აქვს.

ოჯახი ვარაუდობს, რომ მას მანქანა დაეჯახა და მიატოვა.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

გორის საკრებულოს წევრი კახა ბურჯანაძე მანქანის დაწვისთვის დააკავეს

პოლიციამ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი დააკავა. კახა ბურჯანაძეს ბრალდება სხვისი ნივთის განადგურებას ედავება.

დეპუტატი მანქანის დაწვის ფაქტს აღიარებს, თუმცა ამბობს, რომ ავტომობილი მისი საკუთრებაა და მხოლოდ დროებით მართვაში ჰქონდა გადაცემული მეპატრონეს.

ბურჯანაძე პოლიციაში თავად მივიდა, გამოკითხვის შემდეგ კი ის დააკავეს. კახა ბურჯანაძე „ევროპული საქართველოს“ წევრია.

ადვოკატის თქმით, ბურჯანაძემ მანქანა იყიდა, მეგობარ ქალს გადასცა და ვეღარ იბრუნებდა.

– კახა ბურჯანაძემ დაწვა თავისი ავტომობილი, ამიტომ ჩვენ გამოვცხადდით აღიარებით სამმართველოში. მოხდა კახა ბურჯანაძის დაკავება, გამოძიება მის მიმართ დაწყებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას გულისხმობს. თუმცა ჩვენ არ ვეთანხმებით აღნიშნულ მუხლს, რადგან ავტომობილი ეკუთვნოდა კახა ბურჯანაძეს, სამართავად ჰქონდა გადაცემული სხვა ქალბატონს, რომელიც უარს აცხადებდა მანქანის დაბრუნებაზე, – თქვა ადვოკატმა.

ქალი, რომელსაც ბურჯანაძე მანქანის დაბრუნებას სთხოვდა, ასევე „ევროპული საქართველოს“ წევრია.

რომის პაპმა საკვირაო ლოცვა საავადმყოფოში აღავლინა

რომის პაპმა ფრანცისკემ ოპერაციის შემდეგ საზოგადოებას პირველად მიმართა.

პაპმა საკვირაო ლოცვა რომში, გემელის საავადმყოფოდან აღავლინა.

– მოხარული ვარ, რომ საკვირაო ლოცვის აღვლენის საშუალება მაქვს, თუნდაც ამ ადგილიდან. ეს პერიოდი მე ვგრძნობდი თქვენს გვერდში დგომას. ამისთვის გულითად მადლობას გიხდით, – განაცხადა პაპმა.

პაპ ფრანცისკეს გამოჩენას შეკრებილების აღტაცება მოჰყვა და მათ კათოლიკური ეკლესიის ლიდერს გამოჯანმრთელება უსურვეს.

84 წლის პაპს კუჭ-ნაწლავის პრობლემის გამო რამდენიმე დღის წინ ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა.

ექიმების თქმით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა.

ეს პირველი შემთხვევაა 2013 წელს რომის პაპად არჩევის შემდეგ, როდესაც ფრანცისკემ ლოცვა ვატიკანიდან არ წაიკითხა.

ზელენსკი ტიხანოვსკაიას შეხვდა

ლიტვაში ჩასული უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი ბელარუსის ოპოზიციის ლიდერს ტიხანოვსკაიას შეხვდა.

როგორც თავად ტიხანოვსკაიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ეს ოფიციალური შეხვედრა არ ყოფილა. ისინი ერთმანეთს ერთ-ერთ ღონისძიებაზე შეხვდნენ.

– ჩვენ უკრაინის მადლობელნი ვართ! მათ მხარი დაგვიჭირეს! – განაცხადა ტიხანოვსკაიამ.

ჰაიტი აშშ-ს დახმარებას სთხოვს

პრეზიდენტის მკვლელობის შემდეგ ჰაიტიზე მდგომარეობა გართულდა. ჰაიტის ხელისუფლებამ აშშ-ის მთავრობას მიმართა და ქვეყანაში ამერიკული არმიის შეყვანა სთხოვა.

აშშ-ის არმიამ უნდა დაიცავს ჰაიტის სამთავრობო დაწესებულებები და სტრატეგიული ობიექტები.

ჰაიტის ხელისუფლებამ გაეროსაც მიმართა და ქვეყანაში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანა ითხოვა.

ვენესუელაში პოლიციამ სპეცოპერაცია ჩაატარა

26 ადამიანი დაიღუპა

ვენესუელას დედაქალაქ კარაკასში პოლიციასა და კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის დაპირისპირებას 26 ადამიანი ემსხვერპლა.

გარდაცვლილებს შორის კრიმინალური დაჯგუფების 22 წევრი და 4 პოლიციელია.

დაპირისპირების დროს სულ მცირე 40 ადამიანი დაშავდა. სპეცოპერაციაში ასობით პოლიციელი იყო ჩართული. სამართალდამცავებმა დიდი ოდენობით საბრძოლო შეიარაღება ამოიღეს.

ამჟამად კარაკასში სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

დიდი თეთრი ზვიგენი მამაკაცს წყალქვეშ ნადირობის დროს თავს დაესხა

დიდი თეთრი ზვიგენი, რომელიც ასევე კაციჭამია ზვიგენის სახელითაცაა ცნობილი, თავს დაესხა მამაკაცს, რომელიც ავსტრალიის სანაპიროსთან წყალქვეშ ნადირობით იყო დაკავებული.

აღნიშნული ინციდენტი ავსტრალიის ქალაქ პერტიდან 260 კილომეტრში კუნძულ სნაგის რაიონში მოხდა. ოთხმეტრიანმა ზვიგენმა 25 წლის ალექს დოდს ფეხში სტაცა პირი, მაგრამ მისმა მეგობარმა ბრედი პეინომ მისთვის მტაცებლის მოშორება მოახერხა.

– მას რომ მოესურვებინა, შეეძლო უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ მადლობა ღმერთს, გაგვშორდა, – განაცხადა პეინომ, – მგონი ის მე შევაშინე.

პეინომ დოდი ნავში აათრია და მაშველებს დაუკავშირდა. ჭრილობიდან სისხლდენის შესაჩერებლად მამაკაცმა ჯერ პირსახოცი გამოიყენა, შემდეგ კი ტვირთისთვის განკუთვნილი ღვედი გადაუჭირა. ამის შემდეგ მან დაშავებული მეგობარი ნაპირამდე ხუთი კილომეტრი ატარა.

საავადმყოფოში დაშავებულს დიდი თეთრი ზვიგენის მიერ დატოვებულ 20-სანტიმეტრიან იარაზე 100-ზე მეტი ნაკერი დაადეს. ის ამ დრომდე მკურნალობას აგრძელებს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ᲡᲞᲝᲠᲗᲘ

ბარტი უიმბლდონის გამარჯვებულია

ქალთა შორის უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებული ავსტრალიელი ეშლი ბარტი გახდა, რომელმაც ფინალში კაროლინა პლიშკოვას სამ სეტში, 6:3, 6:7, 6:3 მოუგო. შეხვედრა საათსა და 59 წუთს გაგრძელდა.

ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა მთელი ტურნირი დამაჯერებლად ითამაშა და მხოლოდ 2 სეტი დათმო. ერთი ფინალში და ერთიც სასტარტო წრეში ესპანელ კარლა სუარეს ნავაროსთან დათმო.

ავსტრალიელი ჩოგბურთელისთვის ეს მეორე მოგებული დიდი სლემის ტურნირია – 2019 წელს როლან გაროსზე იმარჯვა.

41-წლიანი პაუზის შემდეგ, ბარტი გახდა პირველი ავსტრალიელი ქალი ჩოგბურთელი, რომელმაც უიმბლდონი მოიგო.

აღსანიშნავია, რომ ბარტიმ 2011 წელს უიმბლდონი იუნიორთა შორის მოიგო და მის შემდეგ განსაკუთრებული არაფერი ჰქონდა მიღწეული.

არგენტინამ და მესიმ კოპა ამერიკა მოიგეს

არგენტინა-ბრაზილია 1:0

რიო-დე-ჟანეირო. მარაკანა

0:1 დი მარია (22)

არგენტინა: ე.მარტინესი, მონტიელი, რომერო (პესელია 79), ოტამენდი, აკუნია, პარედესი (როდრიგესი 54), დე პაული, ლო ჩელსო (ტალიაფიკო 63), მესი, ლ.მარტინესი (გონსალესი 79), დი მარია (პალასიოსი 79)

ბრაზილია: ედერსონი, დანილო, მარკინიოსი, ტ.სილვა, ლოდი (ემერსონი 76), კაზემირო, პაკეტა (ბარბოსა 76), ფრედი (ფირმინიო 46), ევერტონი (ვინიციუსი 63), ნეიმარი, რიშარლსონი

1993 წლის შემდეგ არ ჰქონდა არგენტინას მოგებული კოპა ამერიკა და როგორც იქნა, მოიგო. თანაც მოიგო მოქმედ ჩემპიონთან, მისსავე მოედანზე, „მარაკანაზე“ დაამარცხა ბრაზილია – 1:0.

როგორც იქნა, სანაკრებო ტიტული ეღირსა ლეო მესის – „ოქროს ბურთის“ ექვსგზის მფლობელს ნაკრებში ვერაფერი მიეღწია და...

ფინალამდე რამდენიმე საათით ადრე, კონმებოლმა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად სწორედ ლიონელ მესი და ნეიმარი დაასახელა. მათი თქმით, ერთი ფეხბურთელის არჩევა შეუძლებელი იყო, რადგან ტურნირს ორი საუკეთესო ჰყავდა.

ჰოდა, ეს საუკეთესოები ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. აქ უკვე ერთს უნდა მოეგო და ეს არგენტინელი გამოდგა. არადა, ტურნირის განმავლობაში ბრაზილია უკეთ გამოიყურებოდა. არგენტინას კი ჩავარდნები ჰქონდა. თუმცა, ფინალი ერთი მატჩია, 90 წუთი და მისი თამაში ნებისმიერს შეუძლია. არგენტინამ შეძლო და მოიგო.

ერთადერთი გოლის ავტორი კი ანხელ დი მარია გახდა...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ემელიანი მარტინესი

ცხადია, არგენტინის ნაკრების უდავო ლიდერი ლეო მესია და სრულიად ტურნირზეც საუკეთესო იყო. ფინალში ასევე გამორჩეული ფიგურა იყო ერთადერთი გოლის გამტანი ანხელ დი მარიაც. თუმცა, ჩვენ მეკარე გამოვარჩიეთ, რომელიც მატჩის ბოლოს, ყველა საჭირო მომენტში ჩინებულად გაისარჯა და გუნდი რამდენჯერმე გადაარჩინა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

დათვი სახლში შეიჭრა და მის პატრონს თავს დაესხა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ მეიერსში, შავი დათვი სახლში შეიჭრა და მის პატრონს თავს დაესხა.

სახლის პატრონი მამაკაცი შეიარაღებული აღმოჩნდა და მან მტაცებელს ესროლა, თუმცა არ მოკლა, მხოლოდ დაჭრა. დაჭრილმა დათვმა ტყეს შეაფარა თავი.

აღნიშნული თავდასხმის შემდეგ მამაკაცმა შერიფის ოფისში დარეკა და მომხდარის შესახებ განაცხადა. შემთხვევის ადგილზე შერიფის თანაშემწე მივიდა, თუმცა თავდამსხმელი დაჭრილი ცხოველი ვერ იპოვეს.

დაჭრილი მტაცებელი მეორე დილით კალიფორნიის შტატის თევზის რესურსების და ბუნების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა იპოვეს, რის შემდეგაც მისი ლიკვიდაცია განხორციელდა.

ამერიკის ზოოპარკში ცხოველების კორონავირუსზე აცრა დაიწყეს

ამერიკის კალიფორნიის შტატის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ოკლენდში ცხოველების კორონავირუსზე აცრა დაიწყეს.

პირველები ვაქცინაციას მაღალი რისკის ჯგუფების ცხოველები გაივლიან. ესენი არიან: ვეფხვები, შავი დათვები და გრიზლები, პუმები. მათ უკვე მიიღეს, ორიდან პირველი დოზა. შემდეგ ვეტერინარები აცრიან პრიმატებს, ღამურებს და ღორებს.

– დღემდე ჩვენ საზოგადოებრივ წინაღობებს ვიყენებდით, რათა სპეციალური დისტანცირება უზრუნველგვეყო, ასევე გაუჯობესებულ დამცავ საშუალებებს, რომლებსაც თანამშრომლები კოვიდ-19-ით დასნებოვნებისადმი მიდრეკილი სახეობების დასაცავად გამოიყენებდნენ. ბედნიერები ვართ, რომ ახლა ამ ვაქცინის დახმარებით უკეთესად შევძლებთ ჩვენი ცხოველების დაცვას, – აღნიშნა ოკლენდის ზოოპარკის ვეტერინარული სამსახურის ვიცე-პრეზიდენტმა ალექს გერმანმა.

აღნიშნული წამალი აშშ-ის ათეულობით ზოოპარკის შემოწირულობების დახმარებით შეიქმნა. მკვლევარების ჯგუფმა სხვა ვაქცინების შექმნის მრავალწლოვანი გამოცდილებით ისარგებლა. კორონავირუსის ვაქცინა საგანგებოდ ცხოველებისთვისაა შექმნილი.

წყლიდან ამომხტარმა ზვიგენმა პარაშუტისტს ფეხი მოაკვნიტა

იორდანიის ქალაქ აქაბასთან ზვიგენი თავს დაესხა მამაკაცს, რომელიც პარასეილინგით იყო დაკავებული.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც 37 წლის პარასაილერი პარაშუტით ზღვის თავზე დაფრინავდა, რომელიც თავის მხრივ ნავზე იყო მიბმული. მოულოდნელად წყლიდან ზვიგენი ამოიჭრა და მამაკაცს ფეხზე უკბინა.

ამ თავდასხმის შედეგად მამაკაცმა მარჯვენა ფეხის ქუსლის ნაწილი დაკარგა. გარდა ამისა, მან რამდენიმე მოტეხილობა მიიღო, ასევე დაზიანებული აქვს მყესები და კუნთები.

დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას ოპერაცია გაუკეთდა. მისი მდგომარეობა სტაბილურია.

ოჯახმა სახლში უცნობი შედევრი იპოვა და გამდიდრდა

წლის დასაწყისში ნაპოვნი XVIII საუკუნის ცნობილი მხატვრის ჟან-ონორე ფრაგონარის უცნობი შედევრი აუქციონზე გაიყიდა.

აუქციონზე გამართული ვაჭრობის დროს ლოტის ღირებულებამ 9,1 მილიონ დოლარს მიაღწია. ეს რამდენჯერმე აღემატებოდა იმ ფასს, რასაც ექსპერტები მოელოდნენ და რომლებმაც ნახატი 1,5-2 მილიონ ევროდ შეაფასეს. მყიდველის ვინაობა უცნობი დარჩა.

არცთუ დიდი ზომის ოვალური ფორმის ნახატი სახელწოდებით „მკითხველი ფილოსოფოსი“ ეკიდა სახლის კედელზე, რომელიც ოჯახმა მემკვიდრეობით მიიღო საფრანგეთის მარნას დეპარტამენტში. აუქციონერ ანტუან პეტის თქმით, მათი ნათესავები 200 წლის განმავლობაში ნახატს თაობიდან თაობაზე გადასცემდნენ.

ახალმა მფლობელებმა არაფერი იცოდნენ სურათის ავტორზე და მისი სპეციალისტებისთვის ჩვენება გადაწყვიტეს. მათ მაშინვე იცნეს მხატვარის სტილი, ხოლო უკანასკნელი ეჭვები ნახატის ავტორის თაობაზე, სურათის მეორე მხარეს გაკეთებულმა წარწერამ „ფრაგონარი“ გააბათილა. სავარაუდოდ შედევრი 1768-70 წლებშია შექმნილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ნიკა ქავთარაძე: „უნდა ვუშველოთ ერთმანეთს!“

ნიკა ქავთარაძე დარწმუნებულია, რომ საშველი ყოველთვისაა, მთავარია გავიაზროთ, რა დღეში ვართ ახლა:

– ძალადობა, აგრესია, ეს საშინელი გარემო, არაფერ კარგს არ მოგვიტანდა. ყოველ ჯერზე, როცა ამას ვამტკიცებდი, ტროლები და ბოტები კიდევ უფრო დიდ აგრესიას მომართავდნენ ხოლმე.

ხოდა, ახლა, დღეს ერთი პატარა ტესტი მაქვს თქვენთვის – როცა ლექსოს სიკვდილის ამბავი გაიგეთ, პირველივე რეაქცია რაც გქონდათ, ეგაა თქვენი სულიერი მდგომარეობა.

ხოდა, საშველი ყოველთვისაა, მთავარია გავიაზროთ, რა დღეში ვართ ახლა, ამ ქვეყნის მოქალაქეები, სრულიად სხვადასხვა სურვილების მქონე ხალხი.

უნდა ვუშველოთ ერთმანეთს!
უნდა ვუშველოთ ჩვენს შვილებს!
უნდა ვუშველოთ ამ ქვეყანას!

გია მურღულია: „სიყვარული არასდროს არის სიკვდილის არც მიზეზი, არც მიზანი და არც შედეგი“

ასე მიაჩნია ფილოლოგ გია მურღულიას:

– ქართული მენტალობისა და ქცევის ყველაზე უარესმა, ამაზრზენმა მოცემულობებმა – ზოგ ყეყეჩს პატრიოტიზმის უმაღლესი მწვერვალი რომ ჰგონია – კონკრეტული მოძალადე სახეები შეიძინა და სიკვდილი დათესა. და ეს იმ ქვეყანაში, რომელმაც სამყაროს ამდენი კეთილი საქმე და გულღიაობა აჩვენა.

სიყვარული არასდროს არის სიკვდილის არც მიზეზი, არც მიზანი და არც შედეგი.

მისი სახელით ადამიანი არ უნდა გაანადგურო!

ამ ახალგაზრდა კაცის, ტვ „პირველის“ ოპერატორის, ლექსო ლაშქარავას ტრაგიკულმა გარდაცვალებამ მაინც უნდა აუხილოს თვალი ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც პრობლემათა გადაწყვეტის ლამის ერთადერთ შესაძლებლობად ძალადობას მიიჩნევს.

ასეთი ფიქრი და ქცევა არცხვენს საქართველოს – ყველას, ვინც აქ ვცხოვრობთ და აქვე ვხედავთ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალს.

ეს ის მომავალი არ არის, რომელზეც დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს ვოცნებობდით.

ეს ყველაფერი გვაჩვენებს, რომ დიდი ხანია რაღაცას არასწორად, სულელურად და უპასუხისმგებლოდ ვაკეთებთ.

თუ ღირსეული მომავალი გვინდა, ყველაზე მთავარი – ადამიანის მიმართ დამოკიდებულება უნდა შევცვალოთ.

შევინარჩუნოთ, რაც წინაპრებიდან სიკეთე მოგვდგამს და სიკვდილთან თამაშებს თავი დავანებოთ.

რამდენი რამ მოხდა ბოლო წლებში, რამდენი უბედურება, ძალადობა და საშინელება – ჭკუა არაფერმა გვასწავლა! ჩვენი სოციალური მეხსიერება ნულს ქვემოთაა. სამ დღეში ყველაფერი გვავიწყდება და ძველებურად ცხოვრებას ვაგრძელებთ.

თავად ასე ვცხოვრობთ და შვილებსაც ასე ვზრდით.

არც ოჯახი ცდილობს ადამიანის აღზრდას და სკოლას ეს საქმე ლამის საბოლოოდ გაუცნობიერებელი და საერთოდ მიგდებული აქვს. რეალობა გვიჩვენებს, რომ როცა ამას ვამბობ, მაინცდამაინც არაფერს ვაჭარბებ. ძალიან ცოტა ქართველს აქვს აღზრდის კულტურა და ძალა.

სხვა გზა არ გვაქვს – როგორმე ცოტა ხანგრძლივად უნდა შევწუხდეთ და ერთმანეთსაც ვუთხრათ, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება. ის თანაბრად შეურაცხყოფს ჩვენს ისტორიასაც, ტრადიციასაც და მომავალსაც.

სიცოცხლე არაფერს გვასწავლის.

იქნებ ამდენმა სიკვდილმა მაინც გვასწავლოს.

ამაზე საზოგადოებაც უნდა დაფიქრდეს, მთავრობაც, პარლამენტიც და თითოეული მოქალაქეც.

უკან მიდევნებული სიბრძნეც არაფერს გვიშველის – წინმსწრები გონიერებით უნდა ვიცხოვროთ.

რაციონალური გადაწყვეტილებები, პრინციპულობა და სიმტკიცე გვმართებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

საქართველოს ოლიმპიურმა დელეგაციამ ფიცი დადო

თბილისის ოლიმპიურ პარკში ტოკიოს ოლიმპიურ და პარალიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიური და პარალიმპიური დელეგაციების ფიცის დადების და გაცილების ცერემონია გაიმართა.

თავდაპირველად შეკრებილებს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა მიმართა, რომელმაც ოლიმპიური თამაშების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, ქართველ ოლიმპიელთა სამზადისზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ ჩვენი სპორტსმენები ტოკიოში წარმატებით იასპარეზებენ.

ლერი ხაბელოვი:

– გლობალური პანდემიით გამოწვეული სიძნელეების მიუხედავად, მრავალსაუკუნოვანი ოლიმპიური ისტორია გრძელდება. მოგეხსენებათ, პანდემიის გამო, აუცილებელი გახდა ამ თამაშების ერთი წლით გადავადება. შესაბამისად, ეს იყო ურთულესი პერიოდი მსოფლიო სპორტისთვის და საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობისთვის.

ჩვენ ყველამ ერთად, მიზანმიმართული მუშაობით და ხელისუფლების მხარდაჭერით, შედარებით ნაკლები დანაკარგებით გავიარეთ ეს პერიოდი.

ლერი ხაბელოვმა ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არაერთი გამოცდილი და ტიტულიანი სპორტსმენია, რომლებსაც შეუძლიათ ოლიმპიური მედლებისთვის იბრძოლონ.

– მჯერა, რომ ეს დიდი პასუხისმგებლობა გაცნობიერებული აქვს თითოეულ ჩვენს ოლიმპიელს, საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის თითოეულ წევრს. ჩვენ ამ იმედითა და რწმენით მივემგზავრებით იაპონიაში – ტერიტორიულად შორეულ, მაგრამ ახლობელ და მეგობარ ქვეყანაში, რომელიც, ამდენი გამოწვევის მიუხედავად, მტკიცედ დადგა საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის გვერდში. მადლობა იაპონელ ხალხს ოლიმპიური თამაშების ერთგულებისთვის.

საქართველოს ოლიმპიური და პარალიმპიური გუნდები წარადგინეს სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელმა ელგუჯა ბერიშვილმა და საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა რატი იონათამიშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ და შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარემ კახაბერ კუჭავამ, თბილისის მერმა კახა კალაძემ, იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იმამურა აკირამ, „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ სულხან გვალიამ.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, მთავრობის გადაწყვეტილებით, ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებული თითოეული სპორტსმენი ჯილდოდ 1.000.000 ლარს მიიღებს.

ზაფხულის 32-ე ოლიმპიურ თამაშებზე, რომელსაც 23 ივლისიდან 8 აგვისტოს ჩათვლით იაპონიის დედაქალაქი ტოკიო უმასპინძლებს, საქართველო სპორტის 11 სახეობაში 35 ლიცენზიანტი სპორტსმენით წარდგება.

პარალიმპიური თამაშები 24 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება და საქართველოდან სპორტის 6 სახეობაში 16 სპორტსმენი იასპარეზებს.

საქართველოს სპორსტმენთა სახელით ფიცი ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორმა, ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა, სახელოვანმა ძიუდოისტმა ვარლამ ლიპარტელიანმა დადო.

ვარლამ ლიპარტელიანი:

– ჩემთვის დიდი პატივია ჩემი მეგობრების, ოლიმპიელ და პარალიმპიელ სპორტსმენთა სახელით ფიცი დავდო. ზაფხულის 32-ე ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენები პირობას ვდებთ, რომ ვიასპარეზებთ სამართლიანი თამაშის სულისკვეთებით, ოლიმპიური ქარტიის წესებისა და მსოფლიოს ანტიდოპინგური კოდექსის ყველა მოთხოვნის პატივისცემითა და დაცვით. არ დავზოგავთ ენერგიას და ძალას, შესაძლებლობას და გამოცდილებას, რათა ვაჩვენოთ მაღალი სპორტული შედეგები და წარმატებით დავიცვათ ქართული სპორტის ღირსება და საერთაშორისო ავტორიტეტი.

პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, ოლიმპიურ გუნდებს ეყოლებათ 2 მედროშე – ქალი და კაცი. ჩვენი ოლიმპიური ნაკრები გუნდის მედროშეები ნინო სალუქვაძე და ღაშა ტალახაძე იქნებიან.

საქართველოს პარალიმპიური ნაკრები გუნდის მედროშე კი პარაფარიკაობაში მსოფლიოს ჩემპიონი ირმა ხეცურიანია.

ბარსას სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს

ბარსელონას ცუდი პერიოდი უდგას. მართალია, არის საუბრები, რომ კლუბსა და გუნდის ლიდერ ლეო მესის კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე მხარეებს შორის შეთანხმება მიღწეულია, მაგრამ ჯერ ოფიციალური განცხადებები არ გაკეთებულა.

პლუს, ლა ლიგის პრეზიდენტი ხავიერ ტებასი აცხადებს, რომ ბარსას ფინანსური ფეარ პლეის პრობლემები აქვს და, შესაძლოა, მესი ვერც კი დაარეგისტრირონ.

ხავიერ ტებასი:

– ვერ გეტყვით, მესი მომავალი სეზონიდან ისევ ბარსაში ითამაშებს, თუ – არა. თუ ბარსელონა ფეხბურთელებს არ გაყიდის, ლიონელის ჩემპიონატის განაცხადში შეყვანას ვერ შეძლებენ. ამ დროისთვის კლუბმა მკვეთრად გადააჭარბა ზღვარს. იმედი მაქვს, ისინი ყველაფერს გამოასწორებენ და ახალ პროექტში მესის ტრანსფერიც იქნება ჩართული. ერთია, ჩვენ ვერ დავუშვებთ გამონაკლისს მესისთვის, რადგან მერე უნდა დავუშვათ, პირობითად, ჰაალანდისთვის და ასე შემდეგ.

ტებასმა ისიც დასძინა, რომ ლა ლიგა არ არის დამოკიდებული ცალკეულ ფეხბურთელებზე, რადგან მან უკვე გადაიტანა კრიშტიანუ რონალდუსა და ნეიმარის წასვლა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლა ლიგის ხელმძღვანელობამ ბარსელონას ახალი ფეხბურთელების დარეგისტრირება ფინანსური შეზღუდვების გამო აუკრძალა. 2019-20 წლებში კატალონიური გრანდის სახელფასო ზღვარმა 671 მილიონ ევროს გადააჭარბა, რაც დასაშვებზე გაცილებით დიდი თანხაა.

ლა ლიგის შეფები ბარსას ახალი ფეხბურთელების რეგისტრაციის საშუალებას მანამდე არ მისცემენ, სანამ კლუბი ფინანსურ საკითხებს არ დააწესებს.

ბარსელონამ აღიარა, რომ კლუბს აქვს ვალი 1,3 მილიარდი ევროს ოდენობით. ეს იქამდე მოხდა, სანამ ახალი დირექტორატი კიდევ 525 მილიონ ევროს ისესხებდა.

2019-20 წლების სეზონში მხოლოდ ხელფასებზე კლუბმა 671 მილიონი ევრო დახარჯა. ეს ლიგის რეკორდი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ბარსელონას ახლა შეუძლია დახარჯოს იმ თანხის მხოლოდ 25 პროცენტი, რომელიც იყო მის განკარგულებაში 2 სეზონის წინ, რაც დაახლოებით 160 მილიონი ევრო გამოდის.

ამ 160-დან 144 მილიონი უნდა დაიხარჯოს ანტუან გრიზმანის, უსმან დემბელესა და ფილიპე კოუტინიოს კონტრაქტებზე.

გამოსავალი ფეხბურთელთა გარკვეული ჯგუფის გაშვება და სახელფასო ფონდის განტვირთვაა. „ბლაუგრანა“ უკვე დატოვეს ჟუნიორ ფირპომ (15 მილიონი), ჟან-კლერ ტოდიბომ (8,5 მილიონი), ხუან მირანდამ (იჯარა) და ფრანსიშკუ ტრინკაუმ (იჯარა).

ჟოან ლაპორტა:

– ჩვენ გვინდა, რომ ლეო დარჩეს. მას თვითონაც უნდა დარჩენა. ჯერ ფინანსური ფეარ-პლეის საკითხი არ არის გადაწყვეტილი. ჩვენ ვეძებთ გზებს.

რამდენიმე ესპანური კლუბის პრეზიდენტი გეგმავს, კატალონიურ კლუბს ფინანსური დახმარება გაუწიოს იმისთვის, რომ ბლაუგრანამ ლიონელ მესისთვის ახალი კონტრაქტის გაფორმება მარტივად შეძლოს.

ისინი მიიჩნევენ, რომ ლიონელ მესის ლა ლიგაში ყოფნა ტურნირისა და ზოგადად ესპანური ფეხბურთის კეთილდღეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პრემიერა დივიზიონი ბოლო დროს სუპერვარსკვლავების სიმცირეს ისედაც განიცდის, მესის გარეშე დარჩენა კი ლიგის იმიჯს საგრძნობლად დააზიანებს.

შედეგები

10 ივლისი

ფეხბურთი

ჯოპა ამერიკა – ფინალი

არგენტინა-ბრაზილია 1:0

შვედეთი. აღსვენსკა

მალმიო-სირიუსი 4:0

აიკი-ვარბერგი 2:1

ნორვეგია. ეროტსერია

ვიკინგი-სტრომგოდსეტი 1:1

მიონდალენი-ჰაუგესუნდი 3:0

რუსენბორგი-კრისტიანსუნდი 1:0

სანდერფიორდი-სარპსბორგი 2:0

ბრანი-ტრომსო 1:1

ჩოგბურთი

უიმბლდონი – ფინალი

ქალები

ბარტი-პლიშკოვა 6:3,6:7,6:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო განცხადებები

ლენა მზარელუას ხსოვნას!

თერთმეტი ტკივილიანი და ცრემლიანი წელი გავიდა, რაც სამუდამო სასუფეველში გადახვედი პეტრე-პავლობის დღესასწაულზე, ჩემო საყვარელო, ჰუმანურო, ინტელიგენტო, სპეტაკო, კეთილშობილო დედა!

მშვიდად განისვენე მშობლებთან: ნადიასა და ბათუსთან, ძმასთან ბუტუშასთან, ძმისშვილთან მერაბუკასთან, მეუღლესთან შურასთან, რძლებთან ლალასა და ნინასთან, მულებთან კატიასა და ნანასთან და დედამთილ-მამამთილთან.

ნათელში გამყოფოს უფალმა!

შვილი კუსუნა და ძმისშვილი გოჩა მზარელუა

გული გვაძაბია-ხარჩილავა

თქვენ ჩვენთვის არა მხოლოდ გვარში გამორჩეული ქალბატონი ბრძანდებოდით, არამედ იმ საზოგადოების მედროშე, რომლის ავანგარდს სხვებთან ერთად აყალიბებდით. ღვთის წყალობად მიგვაჩნია, რომ ძალგვიძს ჩვენი მეხსიერების საკუჭნაოში გამოვყოთ ის მარადიული ადგილი, რომელსაც თქვენი პიროვნება დაიჭერს და იქნებით ჩვენთან ერთად მანამ, სანამ მარადიულობის გზასავალს ჩვენც შევუდგებით.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენს ამაქვეყნიდან წასვლას ადვილად ვერ შეეგუება ვერც ერთი მათგანი, ვისაც თქვენთან თუნდაც ეპიზოდურად ურთიერთობის ბედნიერება რგებია წილად.

ჩვენში ექიმის მიმართ რომ განსაკუთრებული დამოკიდებულებაა ჩამოყალიბებული, სწორედ თქვენნაირი პროფესიონალების დამსახურებაა და ვინ იცის, რამდენს დააკლდება ის სითბო და სიყვარულის მუხტი, რასაც უანგაროდ გასცემდით ყველასათვის, ვინაიდან, როგორც ჭეშმარიტი მკურნალისთვის, თქვენთვის არ არსებობდა „ჩემიანი“, არსებობდა ზოგადად ადამიანი, მოყვასი, რომელსაც თქვენი თანადგომა სჭირდებოდა.

გაცილებით უკანასკნელ გზაზე არა მხოლოდ ენითაუწერელი ტკივილის განცდით, არამედ იმ იმედითაც, რომ თქვენი შთამომავლობა და საზოგადოება, რომლის ღირსეული წარმომადგენელი ბრძანდებოდით, სამარადჟამოდ შეინახავს თქვენს ლამაზ სახელს.

გვაძაბიათა გვარის საკრებულო

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. აბრეშუმის ჭია; 2. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 3. მდინარე ზუგდიდში; 5. ფასიანი ქაღალდი; 6. გაგრის ძველბერძნული სახელწოდება; 8. გერმანიის პარლამენტი; 10. ყურის ექიმი; 12. ორადგილიანი ველოსიპედი; 14. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 15. ნარკოტიკული ნივთიერება; 16. აფრიკაში ბინადარი ჟირაფისნაირი ცხოველი.

თარაზულად: 1. ქალაქი პაკისტანში; 4. ძალიან ლამაზი ბაღი; 7. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 9. ჭარხლიდან მიღებული ტკბილი საკვები პროდუქტი; 11. ქალის როლების შემსრულებელი მამაკაცი იაპონურ თეატრში; 12. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 13. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 18. კუთხე საქართველოში; 19. მე-17 საუკუნის უკრაინელი მხედართმთავარი, ჰეტმანი; 20. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ვეძისი; 2. კამიუ; 3. სტიაუა; 4. ვეტელი; 6. ალბიონი; 9. წუნდა; 11. ბენიასა; 15. რეზიდენტი; 16. ჟიგული; 17. ნატამალი; 19. ანალიზი; 21. რეგენტი; 22. შეკელი.

თარაზულად: 5. დემენცია; 7. ლიპტონი; 8. ატლასი; 10. ნუსხური; 12. ლოიდი; 13. სქემა; 14. ანდერსენი; 18. არიბა; 20. სირაჯი; 23. ბერდია; 24. გემა; 25. მალამო; 26. ლოტი; 27. ეტიკეტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ვიში; 2. ვერდი; 3. მთიები; 5. პოსკო; 6. ჩუქურთმა; 8. ცისარტყელა; 10. ანორაკი; 12. რეზიუმე; 14. ბასტია; 15. საჰარა; 16. არაყი.

თარაზულად: 1. ვლტავა; 4. აპალაჩი; 7. პურადი; 9. ბოგოტა; 11. ქსენონი; 12. რექვიემი; 13. არმაზი; 17. აზალია; 18. მექა; 19. ამპლიტუდა; 20. რარიტეტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1455

ევრო — 3.7309

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3436

100 რუსული რუბლი — 4.2357

ამინდის პროგნოზი 12 ივლისისათვის



ნეიმარი: „მესი ყოველთვის ჩემი მეგობარი იქნება“

ბრაზილიის ნაკრებმა კოპა ამერიკის ფინალი დათმო და განსაკუთრებით მტკივნეული პრინციპულ მეტოქესთან, არგენტინის ნაკრებთან მარცხი იყო. მატჩის შემდეგ ნეიმარმა კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ, ყველაფრის მიუხედავად, მესი ყოველთვის მისი მეგობარი იქნება:

– ძალიან მეწყინა დღევანდელი მარცხი, მაგრამ უკვე ვეღარაფერს შევცვლით. მესის წარმატება ყოველთვის გამიხარდება, რადგან ის ჩემი მეგობარია.

ბენიტესს ევერტონში კულიბალის ხილვა სურს

ევერტონის ახალ მთავარ მწვრთნელს რაფაელ ბენიტესს თავის გუნდში ნაპოლის ცენტრალური მცველის სალოდუ კულიბალის ხილვა სურს და ევერტონი მზად არის, ამ ტრანსფერში 35 მილიონი ევრო გადაიხადოს.

კულიბალი რამდენიმე წლის წინ ევროპაში საუკეთესო ცენტრალურ მცველად ითვლებოდა, მაგრამ მას შემდეგ მან პოზიციები დათმო და მისმა სატრანსფერო ფასმაც დაიწია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

პლაჟზე დასვენების დროს მამაკაცი კინაღამ ცოცხლად დამარხეს

ინგლისის კორნუოლის საგრაფოს ქალაქ ნიუკვეიში, პლაჟზე დასვენების დროს მამაკაცი კინაღამ ქვიშაში ცოცხლად დამარხული აღმოჩნდა.

მიმდინარე წლის 1 ივლისს ბრიტანელმა ფისტრალის პლაჟზე ქვიშაში დიდი ორმო ამოთხარა და თავად შიგ ჩავარდა. მამაკაცს თითქმის მთელი ქვიშა, რომელიც მან ორმოს ამოთხრის დროს ამოყარა, ზედ დაეყარა. ასე ის კისრამდე ქვიშაში ჩაფლული აღმოჩნდა. მამაკაცის მეგობრებმა და სხვა დამსვენებლებმა სამაშველო სამსახური გამოიძახეს და მის ამოთხრას შეუდგნენ. ქვიშიდან ამოყვანილი ბრიტანელი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

ქალს გაეღვიძა და საწოლში გარეული ცხოველი აღმოაჩინა

ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტის მცხოვრებ ქალს გაეღვიძა და საკუთარ საწოლში სერვალი აღმოაჩინა.

კრისტინ ფრანკი იმან გააღვიძა, რომ ვიღაც მის საწოლზე დადიოდა. როდესაც ქალმა თვალები გაახილა, გარეული ცხოველი დაინახა. სერვალის სიმაღლე დაახლოებით 80 სანტიმეტრი იქნებოდა.

– ის ჩემგან სულ რაღაც 15 სანტიმეტრში იმყოფებოდა. მაშინვე მივხვდი, რომ ის უბრალო შინაური კატა არ იყო, ძალიან შევშინდი, – განაცხადა ქალმა.

მისი აზრით, ცხოველმა მის სახლში ალბათ იმ დროს შეაღწია, როდესაც მისმა ქმარმა ძაღლი სასეირნოდ გაიყვანა და კარის მიხურვა დაავიწყდა. შეშინებული ქალი ნელა წამოდგა და გავიდა საძინებლიდან, ხოლო მისმა ქმარმა საძინებლიდან ქუჩაში გამავალი კარი გააღო, რათა სერველს მათი ბინა დაეტოვებინა, ამის შემდეგ მან ცხოველების კონტროლის სამსახურს მიმართა, მათ კი მისი ზარი შტატის ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტში გადაამისამართეს. იმ რაიონში, სადაც ფრანკის ოჯახი ცხოვრობს, სპეციალური ხაფანგები დაიდგა. გარეული ცხოველის დაჭერის შემდეგ მას აკრედიტებულ ნაკრძალს გადასცემენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

12 ივლისისათვის

ვერძი – ჭეშმარიტებას ეძიებთ და ჩასწვდებით. ეცადეთ, დაიცვათ ზნეობა და მორალი. **კურო** – პრობლემების დაძლევაში თვითდარწმუნება და ოპტიმიზმი დაგეხმარებათ. გამოიჩინეთ დიდსულოვნება. **ტყუპები** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოიტანთ. ეცადეთ, საყვარელ ადამიანს გული არ ატკინოთ. **კირჩხიბი** – ოპტიმიზმი და შრომისმოყვარეობა დღის დევიზია. ნუ იზარმაცებთ და მომავლის იმედი გქონდეთ. **ლომი** – სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ნებისმიერი წამოწყება თქვენთვის სასურველ შედეგს გამოიღებს. **ქალწული** – შესაძლოა, ფინანსურად სერიოზულად დაზარალდეთ. დიდი ყურადღება და შორსმჭვრეტელობა გმართებთ. **სასწორი** – ცვლილებებს ნუ შეუშინდებით. პირიქით, სასურველიც კია, თქვენს ყოველდღიურობაში კორექტივები შეიტანოთ. **ღრიანკალი** – დღეს უმართლებთ ბიზნესმენებსა და მეწარმეებს. ნებისმიერი გადაწყვეტილება გაბედულად მიიღეთ. **მშვილდოსანი** – ემოციების გამოვლენას ერიდეთ. დღეს თქვენს ტალანტსა და შესაძლებლობებს სრულყოფილად წარმოაჩენთ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. მოუთმენლობა, აჩქარება და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება უარყოფით შედეგს გამოიღებს. **მერწყული** – კრიტიკული დღეა. არ გიმართლებთ, რაც თქვენი წინაუხედაობის ბრალია. **თევზები** – ცივი გონება, კრიტიკული განსჯა დღის დევიზია. რომანტიკული პერიოდი მთავრდება.

გისუფთავებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქუჩაში ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს გახარებული ეუბნება:

– დღეს ჩვენს სკოლაში შუქი არ იყო და გაკვეთილები გადაიდო...

– კი მაგრამ, შენ მასწავლებლად არ მუშაობ?...

●●●

მამაკაცი ექიმს შესჩივის:

– ექიმო, უძილობა მაწუხებს.

– უძველესი ხერხი თუ გიცდიათ?

– რომელი?

– დახუჭოთ თვალები და ცხვრები გადაითვალოთ.

– როგორ არა, ექიმო. ვითვლი ცხვრებს, შემდეგ მანქანაზე ვტვირთავ, მიმყავს ქალაქში და ვყიდი, მაგრამ შემდეგ იმაზე ფიქრში ვათენებ ღამეს, მეტისმეტად იაფად ხომ არ გავყიდე?

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– რატომ დაშორდი ქმარს?

– სექსის გამო.

– რა, იშვიათად გქონდათ?

– არა, ხშირად, მაგრამ არა – ერთდროულად.

●●●

ახალგაზრდა ძაღლი მოხუცებულს ეკითხება:

– პირდაპირ საკვირველია, რატომაა, რომ ჩვენ, ძაღლები, პირბადეებს ადრეც ვატარებდით, ადამიანებმა კი მხოლოდ ახლახან დაიწყეს?

– ჰმ, ჩვენ კოსმოსშიც მაგათზე ადრე გავფრინდით!!!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– ქალო, შენ ისევ ფეხმძიმედ ხარ?

– ჰო.

– ვისგან?

– ამასწინათ ყოფილი ქმარი იყო მოსული ბოდიშის მოსახდელად, რომ მე და ბავშვები მიგვატოვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამეფო უბნის თეატრმა სპექტაკლი მოხსნა

სამეფო უბნის თეატრმა 11 ივლისს დაგეგმილი სპექტაკლი მოხსნა. ამის მიზეზი „ტვ პირველის“ ოპერატორის ლექსო ლაშქარავას გარდაცვალება გახდა.

თეატრმა გადაწყვეტილება მიიღო, რუსთაველის გამზირზე დაგეგმილ მიტინგს შეერთებოდა და სამართლიანობის აღდგენა და დამნაშავეების დასჯა მოეთხოვა.

თბილისის კოლორიტი ელგუჯა ომიაძე კორონა ვირუსმა იმსხვერპლა

თბილისის კოლორიტი ელგუჯა ომიაძე კორონა ვირუსმა იმსხვერპლა.

სამწუხარო ინფორმაცია მომღერალმა მიხეილ ზაქარიაშვილმა გაავრცელა:

– გარდაიცვალა ელგუჯა-გუჯა ომიაძე! კოლორიტი ადამიანი, კლიჩკა „ჟანგიანო“ ჰქონდა, ძალიან მაგარი თბილისელი კაცი, რომელიც ყველგან იყო და არღნით ალამაზებდა თბილისს! რამდენ რესტორანთან გინახავთ, რამდენ თბილისობაზე, ძალიან დამწყდა გული, ნათელში იყოს მისი სული.

შალვა ამონაშვილი: „აღმოვაჩინე ყოველი ჩვენგანის მრავალჟამიერობის კანონი“

ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებელი შალვა ამონაშვილი აცხადებს, რომ მრავალჟამიერობის კანონი აღმოაჩინა:

– დიდი ხანია აღმოვაჩინე ყოველი ჩვენგანის მრავალჟამიერობის კანონი, თუმცა ეს უჩემოდაც კარგად იცით: თუ გულწრფელი და საქმიანი სიყვარულით გიყვარს ყველა, მაშინ ადამიანები ასეთივე სიყვარულით მოგივლიან და მოგეფერებიან, და რომც არ გინდოდეს, მრავალ ათას დღეს იცოცხლებ და იცხოვრებ.

ასე მისრულდება მე ამ წლის 13 ივლისს 33 000 დღე დაბადებიდან (8 მარტი 1931 წელი). შეგიძლიათ მომილოცოთ.

ჩემი მხრივ კი გისურვებთ, რომ ყოველმა თქვენგანმა 45 000 დღე იცხოვროს, სიყვარულის კანონის თანახმად, ეს შესაძლებელია.

გაუფრთხილდით თითოეულ დღეს, რადგან ზაქარის სიბრძნე გვაუწყებს: „კაცის სიცოცხლე დღეების რიცხვით განისაზღვრება.“

ლევან სონღულაშვილი: „ვის სჭირდება დღეს ხელოვნება საქართველოში?“

მხატვარი ლევან სონღულაშვილი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ამდენი სოციალური თუ მენტალური პრობლემის ფონზე, საქართველოში ხელოვნება აღარავის სჭირდება:

– ქვეყანაში, სადაც სამოქალაქო საზოგადოება ფაქტობრივად არ არსებობს; ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოებრიობის განცდა მოშლილია; ქვეყანაში, სადაც საზოგადოების ბრბოდ გარდაქმნის მიზნით განათლება პრიორიტეტი არაა; რელიგიაც კი დანაწევრებული, დამახინჯებული ფორმით მიეწოდებათ მასებს, ისევ პოლიტიკური ინტერესების მონოპოლიისა და მოსახლეობაში კონფლიქტის გაღვივების მიზნით.

პრობლემა ჩვენშია! პრობლემის სათავე ხალხია! „ლგბტ“ საკითხი საბაბია და არა, მიზეზი. ყოველკვირეულად იქმნება ხელოვნური პრობლემები, რათა რეალურ კატაკლიზმებს მზერა მოვაშოროთ. ჟურნალისტს სცემენ, სასიკვდილოდ იმეტებენ, ანაფორიანი წვეროსანი, ქალაქის ცენტრში, პარლამენტის წინ აღმართული ტრიბუნიდან ბრბოს ძალადობისკენ მოუწოდებს; სამართალდამცავები უმოქმედოდ დგანან...

დღეს კი, ოპერატორი გარდაცვლილია! რას შეეწირა ის? რისთვის გაიმეტეს სასიკვდილოდ?! ქუჩაზე, სადაც ადამიანთა უკონტროლო აგრესიისა და დეგრადაციის ფსკერს ვხედავ, მუზეუმები, გალერეები, ოპერა, ბიბლიოთეკები, კინოთეატრები და საგანმანათლებლო ცენტრებია... იქ, სადაც პოლიცია უმოქმედოა, სადაც მოსახლეობა სამოქალაქო ომისთვისაც მზადყოფნაშია, – რატომ უნდა მოეწყოს კლასიკური თუ ჯაზური მუსიკის საღამო, გაიმართოს გამოფენები, კინო პრემიერები?! ერთი და იმავე აუდიტორიისთვის? ვის სჭირდება დღეს ხელოვნება საქართველოში, ამდენი სოციალური თუ მენტალური პრობლემის ფონზე?

კახა კინწურაშვილი: „დიდი ბოროტება ლეგიტიმური გახადეს!“



– დიდი ბოროტება ლეგიტიმური გახადეს! – აცხადებს მსახიობი კახა კინწურაშვილი:

– ერთმა წიგნმა, არ შეიძლება ყველაზე ერთნაირად იმოქმედოს. შეიძლება ყველამ ერთხმად თქვას, რომ კარგია, მაგრამ ვინც ამბობს, რომ ყველაზე უკეთ გაიგო და იგრძნო, ის ტყუის. ბიბლიაც წიგნია... მისი ინტერპრეტაციით და თან ქრისტეს მოძღვრების გაყალბებით, წლებია საპატრიარქო საბჭოთა მემკვიდრეობით დახშულ აზროვნებას კვებავს.

ბოლოს შეძლო და ამოარწყევინა ეს ფიქცია ყველას, ვისზეც ხელი მიუწვდა, ხელისუფლების დახმარებით. დიდი ბოროტება ლეგიტიმური გახადეს! და რაც ყველაზე დიდი უბედურებაა, ამ ბოროტებამ არა მარტო მენტალური, არამედ ფიზიკური მსხვერპლიც გამოიწვია.

ურთულესია ამ მდგომარეობაში სიმშვიდე და სიყვარული დაუპირისპირო ბნელ ძალას. ბოლოს და ბოლოს უნდა შევეშვათ „მაგრამ“-ს და ვირწმუნოთ კანონის, რომელიც ყველასთვის თანასწორია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. კლიმატური კურორტი ვანის რაიონში; 2. ფრანგული პარფიუმერული ფირმა; 3. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 4. შავი ფერის მელიას ძველი ქართული სახელწოდება; 6. ქართული ტელეკომპანია; 9. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 11. ქარიშხალი წყნარ ოკეანეში; 15. წყალქვეშა ნავის მეორე სახელწოდება; 16. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 17. უბანი სოხუმში; 19. რაიმეს სიმბოლო; 21. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ძველად საქართველოში; 22. სამშენებლო მოსაპირკეთებელი მასალების მწარმოებელი ქართული ფირმა.

თარაზულად: 5. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანი; 7. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 8. კიევის მერი; 10. თირკმლების ანთება; 12. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 13. კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღვარი; 14. საეკლესიო წესით ქორწინება; 18. ათქვეფილი კვერცხის ცილისგან მომზადებული კულინარიული ნაწარმი; 20. მინერალური წყალი სამეგრელოში; 23. ფაკულტეტის ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში; 24. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 25. შტატი აშშ-ში; 26. მემკვიდრეობითობის მატარებელი ჰორმონი ცოცხალ ორგანიზმში; 27. პოლიტიკური პარტიის ნაწილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა